საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 17 თებერვალი. 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 3 მანეთი. განცხადების ფასი მეოთხე გვერდზე პეტიტის სტრიქონი 5 მანეთი. პირველ გვერდზე 4 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 15×2 სტრიქონი პეტიტ. 100 მანეთი. ნაწილ განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: კონსტანტინეს ქ. 4, შესავალი რუსთაველის ქუჩიდან მე-18-დან.

№ 37 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 37

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე მაშიდინე ალექსანდროს ასული, შვილები: იაგორი, ივანე, ვასილი, პეტრე, მაშა და ნატალია, რძალი ოლღა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასი

ალმასხან ესეს ძე ურუშაძისას

დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს, 18 თებერვალს ქალაქ ქუთაისში. (561 2—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მაგდანე სიმონის ასული და ივანე ანდრიას ძე მგელაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს პირველის საყვარელი ძმის და მეორეს ცოლის ძმის

პართენ სიმონის ძე აფხაზავას

ტრაგიკულად გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება სამშაბათს, 17 ამ თვეს, სოფ. ემბრეთში (ქუთაის მაზრა). (563 1—1)

ნინო ქუთათელაძისა, გრიშა და მიშა ქუთათელაძეები, მარია და ვალენტინა სიამაშვილი, ანნა და სიმა ჩხეიძე, ნინო და ბარბარე ქართველიშვილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 14 თებერვალს ტრაგიკულად და უდროოდ დაიღუპა პირველთა ძმა, ხოლო მეორეთა ქვისლი ავიატორი

პავლუშა გრიგორაშვილი

გამოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. პანაშვიდები ყოველ დღე ქაშვეთის ეკლესიაში. (535 1—1)

უნუგეშო და გაუბედურებული ნადია პართენ ქუთათელაძის ასული გრიგორაშვილი მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 14 თებერვალს უდროოდ და ტრაგიკულად დაიღუპა მისი საყვარელი და დაუვიწყარი მეუღლე ავიატორი კაპიტანი

პავლე ათანასეს ძე გრიგორაშვილი

პანაშვიდები ყოველ დღე ქაშვეთის ეკლესიაში საღამოს. (565 1—1)

საავიაციო გუნდის უფროსი, ოფიცრები და ჯარისკაცები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ტრაგიკულად გარდაცვალებას ძვირფასი ამხანაგის სამხედრო მფრინავის კაპიტან

პავლე ათანასეს ძე გრიგორაშვილის

რომელიც მოხდა შაბათს, 14 თებერვალს. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (569 1—1)

გულდათუთქული და თავზარდაცემული მშობლები ნიკო და მაშო, 3 წლის ძმები: ქრისტე და ვანია ჯიბლაძეები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველნი საყვარელი შვილის, ხოლო მეორენი პატარა ძმის ნიჭიერი სახელოვნების გიმნაზიის მოწაფის

ზინოჩკის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება სახლიდან (ხერხეულიძის ქ. № 55) ნაძალადევის ღვთისმშობლის ეკლესიაში სამშაბათს 17 თებერვალს ნაშუადღევის 3 ს. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (566 1—1)

უნუგეშო ბებია მარიამ ჯიბლაძის ასული და შვილი მისი ოლიკო ჯიბლაძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ პირველი საყვარელი შვილის შვილის, ხოლო მეორე დაუვიწყარი ძმის შვილის პატარა

ზინოჩკის

უდროოდ გარდაცვალებას. (566 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი ქეთო და ნინო, ხანდარია, ვასო და მარო ჯიბლაძეები მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავებს პირველნი ძვირფასი ძმის შვილის, ხოლო მეორენი დაუვიწყარი მიძმის შვილის, პატარა

ზინოჩკი ნოეს ძე ჯიბლაძის

უდროოდ გარდაცვალებას. (566 1—1)

მშობლები: გიორგი ლავრენტის ძე წერეთელი, მამიდა ქრისტინე ასული წერეთლისა, ბებია: ეკატერინე გიორგის ასული წერეთლისა, შვილები: ალექსანდრე და ცეცა, ბიძები: გიორგი, ლავრენტი, კონსტანტინე და გრიშა ილარიონის ძენი წერეთლები. კოწია ალექსის ძე და სოლომონ ლავრენტის ძე წერეთლები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ შაბათს 14 თებერვალს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი

ლავრენტი (ბუბულა) გრიგოლის ძე წერეთელი

გამოსვენება სამშაბათს, 17 თებერვალს, საღამოს 4 საათ. თბილისის სადგურზე, ნიკოლოზის ქ. სახ. № 97. დაკრძალვა დ. ხანჩალში, მაცხ. ეკლესიის გალავანში, ხუთშაბათს, 19 თებერვალს დილის 12 საათ. (567—2—1)

სოფ. ახაშენში, (სიღნაღის მაზრა) ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ თებერვლის 15-ს გარდაიცვალა

ვერა მაჭრ. ასული წინამძღვრიშვილისა

რასაც უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა—ვახტანგ ალექსანდრეს ძე—ბამბათილი ალექსანდრე ზაალის ძე და დედამთილი მაკრინე მიხეილის ასული წინამძღვრიშვილები. პანაშვიდი დღეს დილის 12 ს. ქაშვეთის ეკლესიაში. (572—1—1)

შვილები განსვენებულის

ნინო გაბრიელის ასულის ივანიცკისა

აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ მის გარდაცვალების ნახევარი წლის თავზე, ოთხშაბათს, 18 თებერვალს, დილის 10 საათზე, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი. (ფ 2—1)

„სურათები-ზღაპრები“

დაიბეჭდა და იყიდება ახალი საყმაწვილო წიგნაკი № 6: მელა კუდა, წერო და მამლაყინწა; მახარა წრუწუნები; მელია და წერო.

ფასი 5 მანეთი.

ბითუმად მყიდველს დაეთმობა 20 პროც.

მისამართი: თბილისი, ჯუღელის ქ. № 17, ალ. ჯაფარიძე; ქუთაისი, ბალახვანი, მ. ლუნდუას საქალო გამზე. (546—1—1)

სამშაბათს, 17 თებერვალს, მუშათა ცენტრალურ კლუბში (პლეხანოვის პრ., 123) საქ. ახალგ. მარქს. ორგანიზაციის სასარგებლოდ ამხ. შ. ნ. მანდელშტამი წაიკითხავს

ლ ე ქ ც ი ა ს

შემდეგ თემაზე:

მუშათა კლასის თანამედროვე ეკონომიური პოლიტიკა

დასაწყისი საღამოს 7 ნახ. საათზე. (უფ. 1—1)

რესპუბლიკის საკუთრებათა ინსპექცია

ამით აცხადებს, რომ 20 ამა თებერვალს, დღით პარასკევს შუადღის 12 საათზე, თბილისის № 2 საბაჟო საწყობში (მეტეხის ციხე) დანიშნულია

საჯარო გაყიდვა

ნაცვამი ტანსაცმლის: ბლუზების, შარვლების, ფუფაიკების, ქალამნების, ახალუხების, ჩოხების, პალტოების, ტუჟურკების, შალვრების, ხალათების, ლეიბების, პერანგების, შ ნელების, ბაშლიყების და სხვა. მსურველთ შეუძლიათ დანიშნულ დღეზე ხაზინის საწყობში მონაწილეობის მიღება. (ნ. 1—1)

16 თებერვლიდან აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების სახელოსნოში (კირკის ქ. № 7) მომარაგების სამინისტროს მუშათა განყოფილების წიგნაკებით გაიცემა

ნ ა ხ შ ი რ ი

ფუთი 50 მან.

(ნ. 1—1) გამგეობა.

სამშაბათს 17 თებერვალს, საღ. 5 ს. მუშტაიდის კლუბში დანიშნულია პირველი რაიონული ორგანიზ. წევრთა

საერთო კრება

დღის წესრიგი: 1) მოხსენება კოლექტივის ხუთი თვის მუშაობის შესახებ. 2) მოხსენება სარევიზიო კომისიის, 3) კოლექტივის, 4) თვ. კომიტეტის და 5) სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები, 6) მიმდინარე კითხვები. წევრებმა თან უნდა იქონიონ პარტიული ბარათები. (უფ. 2—2)

არტისტიული საზოგადოების თეატრი

ოთხშაბათს 18 თებერვალს 1920 წელს

მსახიობთა შეერთებულ ძალებით წარმოდგენილი იქნება ალ. სუმბათაშვილის პიესა

ღ ა ლ ა ტ ი

5 მოქმედებად.

ქ.ქ. ნინო ჩხეიძე, ელ. ჩირქეზიშვილი, ო. ლეჟავა, ვ. ანჯაფარიძე, ე. ციმაკურიძე. ბ.ბ. ვ. გუნია, შ. აბაშიძე, შ. გამყრელიძე, მ. ჭიაურელი, ამაშუკელი, შანშიაშვილი და სხ.

რეჟისორი ვ. გუნია. ადმინისტრატორი ი. გაჩეჩილაძე.

დასაწყისი სრულ 8 საათზე. (ნ. 2—2)

გორის სამაზრო ერობის გამგეობა

აცხადებს, რომ მიმდინარე წლის 20 თებერვლიდან გორის სამასწავლებლო სემინარიის შენობაში მოწყობილი იქნება სახალხო სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებლად

კ უ რ ს ე ბ ი

კურსები გაგრძელდება 20 თებერვლიდან 1 ივლისამდე. კურსებზე მიღებულ იქნებიან არა ნაკლებ 4 კლასის განათლებით. კურსისტებს ექნებათ მუქთი ბინა განათებით და გათბობით. მსურველებმა უნდა გამოგზავნონ თხოვნები სამაზრო ერობის სახელზე. (ნ. 3—3)

საჭიროა ინჟენერი ან ტეხნიკი

პროვინციაში ქალაქის ინჟენრის ან ტეხნიკის თანამდებობაზე. ტეხნიკისათვის აუცილებელია ცოდნა ქალაქის მეურნეობის წარმოებისა. აუცილებელია აგრეთვე იცოდეს ხაზსადენი, ხიდების ელექტრონული დადგმა და საქალაქო შენობანი. თხოვნების მიღება და პირადი მოლაპარაკება—საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის ტეხნიკურ განყოფილებაში, პუშკინის ქ. № 3, დილის 9—3 საათამდე. (ნ. 3—3)

ექიმი ბ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე. რუსთაველის ქუჩა № 22, სოლოლაკი. (ნ.—ო.)

გამოცდილი მასწავლებელნი

ამზადებენ

მოსამზადო 3, 4, 5, 6, 7 კლასის მოწაფეების მისაღებად. მიხეილის პროსპექტი № 25, შესავალი ელექსის ქუჩიდან № 5, 3 ს.—7 საათ. (519 4—4)

კბილის ექიმი ეკატერინა დავითის ასული

აბაზაძე

განაახლა კერძო პრაქტიკა. იღებს ავადმყოფებს დილ. 10—1 ს. და 4—6 ს. საღ. ელისაბედის ქუჩა № 49 (კუთხე ბარიათ., რეჟბ. და მელიქიშვილის ქუჩ.). (467 6—6)

ავადმყოფობის გამო

ვყიდი იაფად

პარტიით გამზადებულ კახურ ღვინოს და თბილს თავის მარანში გასატან ჭურჭლით. გაყიდვა ცალ-ცალკეც შეიძლება. მისამართი: ნაროყბარიძის ქ. პალ. სახლი № 99. (561—3—1)

ნაციონალური და კლასიური

მთელი სოციალ-დემოკრატიული მოძღვრება არის სწავლა კლასთა ბრძოლისა. მთელი ტაქტიკა და პოლიტიკა, მეცნიერულ მარქსიზმზე დამყარებული, არის გზის და საშუალების ძიება ამ ბრძოლის საწარმოებლად.

კლასიური ხაზი და არა ე. წ. საერთო ნაციონალური, ზეკლასიური, აი მთავარი დებულება ამ მოძღვრების.

მხოლოდ ამ გზით შეიძლება საზოგადოებრივი ძალთა აღმოჩენა და ცხოვრების წინსვლელობის მიღწევა. იმის, რომელმაც საერთაშორისო ეპოქის ხასიათი მიიღო, მეტრგან კლასების ბრძოლა გადალახა და ლოზუნგებით ყოველ კლასს თუ საკუთარი აქვს, ერთი ლოზუნგი, ერთი განსაზღვრული მიზანი სრულიად გამართლებული ლოზუნგი მიაღწიოს.

როცა რუსეთის ნანგრევებზე გამოჩნდა პირველი ნასახი ახალი ნაციონალური სახელმწიფოების, აქაც თითქოს საერთო ლოზუნგებმა იჩინეს თავი. ერის ფიზიკური დაცვა, მისი აღორძინების ელემენტარული პირობები თითქოს საერთო შეიქმნა ყველასათვის. შინაური ბრძოლა ერთი წუთით კიდეც შეჩერდა. კლასები დადუმდნენ და ერთი ეროვნული ნიშნით ამეტყველდნენ.

ბევრს ეს ეგონათ კლასობრივი ბრძოლის დავიწყებით მოეწყობა. ბევრს ეს მარქსიზმის უარყოფა ეგონათ თვალწინ. რა კი არ არის გამოსახული მეტაკვზე, რა კი მიღწეული ბრძოლის ყველა—ცხადია კლასთა ბრძოლა შეიცვალა კლასთა სოლიდარობით... და რამდენი ერის პოლიტიკური პირობის შემდეგ საერთოში მუშათა კლასის წარმომადგენლები მოექცნენ, ეს ზედმეტი თეორია მათ მიიღეს, ყველა კლასების შემოერთების გაჩენა მათ გარშემო, მათვე ცოდნით და მოსაზრებით მოეწყო ყველა „პრინციპიალური“ მარქსიზმის და ლაფინდონელი „რევოლუციონიზმის“ წარმომადგენლებმა.

ჩვენ მაშინვე ვიცოდით, რომ „როცა ორი ამბობს ერთს და იმავეს, ეს ის არის ერთი და იგივე“. როცა მუშა და პროლეტარი ერთ საგანს დაიცავენ და ერთ პრობლემას სწყვეტენ, ისინი არ შედიან იდენტიური თავის აზრით, მოქმედებით და მიზნებით. ჩვენ ვიცით, რომ აქ მხოლოდ ფორმით ხვდებოდა ერთმანეთის მათი ნაბიჯები, რომელიც თავის კლასიური ინტერესებიდან გამომდინარე და კლასიურ მიზნებს ემსახურება.

არც ერთი ლოზუნგი: დამოუკიდებლობა ერის ფიზიკური განადგურებისაგან და სხვ. არ ყოფილა ყველა კლასებისათვის ერთნაირად მიღებული და შეგნებული.

მაგრამ განსხვავება მათი შეგნებისა არ იყო პოლიტიკური საინტერესო და საჭირო ამ ჟამს.

საინტერესო იყო და აქტუალური ხასიათი ჰქონდა მხოლოდ საერთოს, საზოგადოს, იმას, რაც ყველას გაერთიანებდა კარზე მომდგარი საშიშროების წინაშე. და რაც უფრო განვითარდა ეს მიმართ და საშიშროება, მით უფრო ნათელი ხდება და იშლება მთელი თავის სიგრძე სიგანით კლასიური დაჯგუფება და კლასიური ინტერესების შეჯახება.

კონტრრევოლუციური მოძრაობის პირველი ტალღების ლეჩუდების გარეშე მტრობით, ფარული ოპოზიცია და გულახდილი წინააღმდეგობანი გამოჩნდნენ ნათლად და აშკარად წამოიჭიმნენ ჩვენს წინაშე.

დღეს უკვე ბრძოლა გაჩაღებულია. და—მუშათა კლასი უკვე თავის გამოცალკევებულ კლასიურ პოზიციებს უბრუნდება, უკეთ რომ ვთქვათ, მისი კლასიური პოზიცია გამოცალკევებული რჩება. და იქ, სადაც წინეთ მის გარშემო ერთგვარი მთლიანობის ატმოსფერა იყო შექმნილი, დღეს მხოლოდ და მტრობის და წინააღმდეგობის სუსხიანი ქარი ტრიალებს.

მაგრამ აქ გასაკვირალი არაფერია.

კლასიური ბუნებას თავისი უნდა გაეტანა და გაიტანა კიდეც.

ჩვენ მხოლოდ დავრწმუნდით უფრო მეტის სიმტკიცით ჩვენის ხელი მოპოვებულ პოზიციას, უფრო მეტის თავგამოდებით გავამაგროთ იგი და შევეცადოთ ახალ პირობებში შევქმნათ საფუძველი იმ დიადი მიზნის განხორციელებისა, რომლისათვისაც მოწოდებული ვართ ისტორიისაგან.

მუშათა კლასმა ჩვენში თავის საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლის პირველი დღიდანვე აიღო ხელში ყოველი მისია—ესაა ერის წარმომადგენლობა. იგი იცავდა რა თავის კლასობრივ ინტერესებს და ამის გამო აღმოჩნდება და თავისუფალ განვითარების არსებით პირობებს, იმ თავითავე გახდა მატარებელი მთელი ერის საერთო მისწრაფების.

არსებითად ეს ასეც უნდა ყოფილიყო. მუშათა კლასი ყველგან უპირატესად ნაციონალური კლასია, რამდენადაც იგი შეიცავს მასში ცხრა მეათედის საერთო ინტერესებს.

მაგრამ ამას გარდა ჩვენს მუშათა არმიას ჰქონდა კიდევ ერთი პირობა, რომლითაც მისი მდგომარეობა განირჩეოდა სხვა ერის მუშათა კლასისაგან: მას არ ედგა წინ რამდენიმე მაინც ძლიერი ბურჟუაზია გ. ი. ის ფაქტი, რომელიც ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ყოველგან ერის მეთაურობას ჩამოიცილებს.

ბურჟუაზიის ეს დიდებითი ისტორიული როლი, რაც ერის აღორძინებისა, ჩვენში ამ თავითავე მუშათა კლასს ხვდა წილად.

ამ მისიის აღსრულებით მუშათა კლასმა ნამოასრულა ყოველი დიდებით მნიშვნელობა თავის მეპირადობის და გახდა დღეს მთელი ერის პოლიტიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

აქედან ცხადია, რომ დღევანდელი პოლიტიკური ბატონობა მუშათა კლასის და მისი პარტიის—სოციალ-დემოკრატიის, არ არის შედეგი რევოლუციურ ბრძოლის მომენტში უცაბედი თავდასხმის, მარჯვეთ მოქნეული მუშტის, არამედ წარმოშობილია ჩვეულებრივ წლოვანი ისტორიის მსვლელობით, მუშათა კლასის ისტორიული როლით, რომელსაც იგი დღემდე ასრულებდა.

ამიტომ არის, რომ მისი მეთაურობა რევოლუციური ქარტეხილშიაც ვერ შეირყა, და თუმცა რევოლუციამ ხშირად იცის კლასთა ჭიდილში ხან ერთის გამარჯვება, ხან მეორის, მაგრამ ჩვენში ამ გამარჯვებულთა შეცვლას არ ჰქონია ადგილი.

ამაშიც თუ ვეძებთ მთავარი ძალა მუშათა კლასის სიძლიერის და ნამდვილი თავდებობა ჩვენში მუშათა დემოკრატიის ბატონობის უზრუნველყოფის. მაგრამ ეს განსაკუთრებული მდგომარეობა—განსაკუთრებულ ვალდებულებასაც მოითხოვს ჩვენგან. მუშათა კლასი უნდა გადაცდეს ამ ახალ მდგომარეობის გამო თავის კლასიური პოზიციას. იგი არ უნდა ჩაიკეტოს მხოლოდ მისმა ნაციონალურმა როლმა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ როლის საფუძველი შეურყევლობა—შეიძლება მოჰყვეს არა ნაციონა-

დღეს

ლონდონის კონფერენცია ოსმალეთის საკითხის გარჩევას შეუდგა. სტამბოლში დარჩება ოსმალეთის ბატონობა, სრუტეების თავისუფლება უზრუნველყოფილია და დაიცავს მას მოკავშირეთა ჯარები.

საფრანგეთი გერმანიისაგან მოითხოვს წლიურად 7 მილიონ ტონა ნახშირს.

ტუაფსეს რაიონში აჯანყებულმა გლეხებმა დაამარცხეს მოხალისენი.

ლურ თვალსაზრისზე დადგომას, არამედ მხოლოდ და მხოლოდ კლასიური თვალსაზრისის ცხოვრებაში სისწორით და შეგნებულად გატარებას.

ყოველი გადახრა ნაციონალური იდეისკენ იქნებოდა დასამარცხება, როგორც ამ იდეის, ისე კლასობრივი მდგომარეობის.

დღეს ნაციონალური იდეა, ისე როგორც ყოველი საზოგადოებრივი მისწრაფება, სულდგმულობს კლასიური იდეით და ლტოლვებით. ბურჟუაზია აძლევს ფერს, რომ ამით თავისი რეაქციონური კლასიური მიზნები დაფაროს ნაციონალური იდეის იმ თვისებებით, რომელთაც საყოველთაო ხასიათი აქვთ. მუშათა კლასს საამისო მიზეზი არა აქვს. მისი კლასობრივი მიზნები პროგრესიული, რევოლიუციონურია, მომავლის წარმომშობია და ამით ნაციონალურ მიზნებსაც საუკეთესოთ ატარებს.

ამიტომ ნათელი წარმოდგენის შექმნა, სინამდვილის სისწორით აღნიშვნა ჩვენთვის საუკეთესო დარაზმვაა იმ გამწვავებულ ბრძოლაში, რომელიც უკვე გაჩაღდა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და რომელსაც ფუჭსიტყვიერი „კეთილი განზრახვები“ ვერ შეაჩერებენ.

პრესა

„საქართველო“ ამ ბოლო დროს შეუპოვრად აკრიტიკებს ჩვენი მთავრობის ეკონომიურ პოლიტიკას. ეს გაზეთი იქნებ ყველაზე მეტად არის შეპყრობილი იმ „საზღვარ-გარეთულ ილუზიებში“, რომლებიც ძლიერ გავრცელებული იყო ჩვენში საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ ხანებში. მიუხედავად ამისა იგი „უკანა რიცხვით“ მმართველ პარტიის გასაწვრთნელად ამნაირად სწერს:

„საქართველოს დამოუკიდებლობა იმგვარ საერთაშორისო პირობებში იშვა, რომ ყოვლად შეუძლებელი იყო რაიმე იმედით თავი გვენუგეშა და გვეფიქრნა, რომ უცხოეთი საჩქაროდ შეავსებდა ჩვენს ნაკლსა და საჭიროებას, სურსათითა და სხვადასხვა საქარხნო ნაწარმოებით მოგვცემდა. ახლის ცხოვრების მოწყვეტილი ვიყავით და აშკარა იყო, რომ ეს ჩვენი იზოლიაცია ერთ დიდ ხანს გასტანდა. ისიც აშკარა იყო, რომ სხვა გზა-კვალი გამოსავალი არ გვქონდა, თუ არა საკუთარის ძალებისა და საშუალებებით იოლად სიარული, სანამ საერთაშორისო ურთიერთობა ცოტათი მაინც თავის ბუნებრივ სახეს არ დაუბრუნდებოდა და საერთაშორისო აღებ-მიცემობა კვლავ შესაძლებელი არ გახდებოდა. ჩვენი სინამდვილის სხვა გვარი ინტერპრეტაცია ყოვლად შეუძლებელი იყო“.

აი ამას ჰქვიან რუსულად „моимъ же добромъ да мнѣ же челомъ“. ის, რაც გაზეთისთვის მხოლოდ დღეს გამხდარა „აშკარა“, (რომ ჩვენი შინაური ძალების იმედით უნდა ვცხოვრობდეთ და არა უცხოელების) ჩვენი მმართველი პარტიისათვის უკვე დიდი ხანია აშკარა იყო და ჩვენი ლიდერები ამ გზის საჭიროებას უკვე ერთი წლის წინ გვეთითებდნენ. მაგრამ „საქართველოს“ მოუნდომებია ჩვენი დღევანდელი ეკონომიური დაქვეითება მმართველ პარტიას ბრალად ჩაუწეროს, თითქოს ჩვენ ქვეყანაში ყოფილა მრეწველობის განვითარების შესაძლებლობა, მაგრამ მმართველ პარტიას ჩაუკლავს იგი:

„მაშინ როდესაც ყოველ ქვეყანაში პასუხისმგებელი წრეები დიდ დახმარებას აძლევენ ვაჭარ-მრეწველთა კლასს და ამ კლასის საშუალებით ცდილობენ უკეთ ქვეყნების ნედლი თუ დამუშავებული რესურსები მათი საკუთარი ქვეყნების სასარგებლოდ გამოიყენონ, საქართველოს მმართველი სოციალისტური წრეები ქვა და გუნდას თავს აყრიან საქართველოს ვაჭარ-მრეწველთა და არამც თუ ხელს არ აძლევენ, პირიქით მათ განადგურებას უფრო უწყობენ ხელს. ასეთ პირობებში უცხო ფირმები უკონკურენციოდ იგდებენ ჩვენს ბაზარს, და ჩვენს ნედლ მასალას. ყველა ამ პირობების გამო ხაზინადაც დღეს დაცარიელებული წარმოება. და მთელი ჩვენი ეკონომიური ცხოვრება კატასტროფისაკენ მიექანება. არავითარი ეკონომიური შემოქმედება! დამბლა დაცემული აღებ-მიცემობა, საზღვარგარეთ სიძვირე და ჯამაგირების შეუწყვეტელი ზრდა—აი რა მოგვიტანა ამ პოლიტიკამ“!

მმართველი პარტია, წინააღმდეგ „საქართველოს“ სიტყვიერ მტკიცებისა, ძალიან მოწადინებულია, რომ ჩვენში საკუთარი მრეწველობა აყვავდეს და შეიქმნას ძლიერი მრეწველთა კლასი. ეს, რა თქმა უნდა, ასე არ ხდება. მაგრამ დემაგოგიის სურვილით შეპყრობილ მწერლის გარდა ვერავინ ვერ იტყვის, რომ ამაში დამნაშავე მმართველი პარტია, და არა ის საქვეყნო კრიზისი, რომელიც ჩვენისთანა სუსტ ქვეყნის ყელზე მწარედ ზეგება. „უცხო ფირმების“ გაბატონება აიხსნება არა იმით, რომ მმართველი პარტია „ქვა და გუნდას აყრის თავს“ ქართველ მრეწველებს, არამედ იმით, რომ საქართველოში ნამდვილი მრეწველთა კლასი არ არის, რომ აქაური კაპიტალისტები სპეკულიაციის მიზნებით არიან გატაცებულნი, სამშობლოს საქმე ყურად არ იღებენ და მის გაჩანაგებაზე უნდათ ააგონ თავისი კეთილდღეობა. თვით „საქართველოს“ ყველაზე მეტი ბრალი მიუძღვის ამ საქმეში იმის მაგივრად, რომ ქართველი მრეწველების სპეკულიანტური აღვირახსნილობის ალაგმვაზე იზრუნოს და სპეკულიაციის გზიდან ჭეშმარიტ მრეწველობის გზაზე გადმოიყვანოს ისინი, ეს გაზეთი მათ თავზე ხელს უსვამს და ამით კიდევ უფრო აღიზიანებს მათ მადას.

მიდიან და მოდიან

მიდიან და მოდიან. აი ორი სიტყვა, რომელიც მთელი კვირაა ბათუმის ყურადღებას იპყრობს. ზოგს ახარებს, ზოგს ამწარებს, ზოგს აშფოთებს, ზოგს აღფრთოვანებს, ზოგს სასოწარკვეთილებაში აგდებს. ქმნის ნერვიულობას, აძლიერებს ისედაც მძიმე ატმოსფეროს, იწვევს დაუსრულებელ მითქმა-მოთქმას, დაუჯერებელ და ფანტასტიურ ჭორებს და ასე ისედაც დაბნეულ ბათუმის მდგომარეობა კიდევ უფრო ირთულება, კიდევ უფრო ისკვნება და იქცევა ის ათას გვარი ინტრიგები, რომლებიც თავმოყრილია ბათუმში და მის ოლქში.

ვინ მიდის?

მიდიან ინგლისელები. დიდი ხანია ეს ხმები ტრიალებს. და ეს ბუნებრივია. ბათუმის მხარე საშუალო სასიცოცხლოდ შეერთებულია საქართველოსთან. ის მისი განუყოფელი ნაწილია. დროებითმა მფლობელობამ ის მას მოაშორა და მისთვის უცხო ბატონს გადასცა. ყველა გრძნობს, რომ ეს არა ნორმალური მდგომარეობაა, ამ ძალით ბატონობას, ამ დაუპატიჟებელ სტუმრობას ბოლო უნდა მოეღოს. რომ ეს ასე მოხდება და უნდა მოხდეს, ამაში ყველა დარწმუნებულია. მხოლოდ კითხვა იბადება—როდის და რა პირობებში მოვა ნამდვილი პატრონი, ე. ი. ქართველები. ამიტომაა, რომ უმნიშვნელო რამეც კი, რომელიც ინგლისელების წასვლას შეეხება, უკვე ნამდვილ ცნობათ სახლდება და ამაზე შენდება ყველა ჯგუფების მომავალი მოქმედების გეგმა.

ინგლისელების წასვლის შესახებ არა ერთხელ და ორხელ გავრცელებულა ხმები, მაგრამ ის რაც ამ კვირას მოხდა, მართლაც, დიდ საბუთს აძლევდა ამ ხმების დასაჯერებლად.

სრულიად მოულოდნელად გამოვიდა ყაზარმებიდან მთელი კავალერიის ჯარი, გადასახლდა თავის ბარგი-ბარხანით გემზე და გასწია კონსტანტინოპოლისაკენ. მოიხსნა თვით ადმინისტრაციის უფროსი მათი ოფიცრები, გამოუცხადეს მოიჯარადრეებს, რომ 15 ამ თვიდან მათთვის საჭირო აღარ იქნება სანოვაგის მიწოდება, მოითხოვეს სხვა და სხვა დაწესებულებებიდან აღნიშნულ ვადაში სრული ანგარიშის წარდგენა და სხვა. და თუ ამას დაუმატებთ ინგლისელების ცნობილ პოლიტიკას, რომლის გამოცნობა და გამორკვევა მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ ხდება ხოლმე, არ უნდა გაგვიკვირდეს თუ ბათუმში დაიჯერეს, რომ ისინი მართლა მიდიან და თავისთავად დაისვა კითხვა: მიდიან, მაგრამ—ვინ მოდის?

მოდის საქართველო. მისი ჯარები უკვე გადმოვიდნენ შეგრეთში და სადაცაა ბათუმშიაც შემოვლენ.

ქართველობა განურჩევლად რწმენისა და სოციალურ მდგომარეობისა ამ ამბავს დიდი სიხარულით შეხვდა. არა ნაკლებ სიხარულით შეხვდა ქართველ მუსულმანთა მოწინავე ელემენტები და სხვა ჯგუფების პროგრესიული ნაწილიც. მხოლოდ ორი ჯგუფი იყო, რომ სიბრაზისაგან ღრიალებდნენ ყრიდა და თვის ჯანგიანი მაჰმადიანიც კი იმუქრებოდა. ეს ჯგუფებია—ერთი დენიკინელები, მეორე ეგრეთ წოდებული სამუსულმანო კომიტეტი (სულთან მოლლები).

რა არის ამ ორ ჯგუფთა შორის საერთო? დენიკინელები მომხრეა ძველი რუსეთის აღდგენის. ეს რუსეთი კი დაუძინებელი მტერი იყო ოსმალეთის. სამუსულმანო კომიტეტი—ესაა ნამდვილი თურქული პარტია, მუშაობს სტამბოლის ფულით, კავშირი აქვს იქაურ ფაშებთან და ლამობს ბათუმი ოსმალეთს შეუერთოს. ოსმალეთი ხომ ძველი რუსეთის დაუძინებელი მტერი იყო. და აი ეს ორი ისტორიული მტერი შეერთდა და დღეს ხელი-ხელ ჩაკიდებული მოქმედებენ. ამოძრავებს თუ არა ამ აქტიორებს რაიმე საკუთარი იდეური მისწრაფებანი, არც ერთს, არც მეორეს. იდეია და პოლიტიკა ამოქმედებს მხოლოდ მათ დირიჟორებს. ესენი მხოლოდ ავანტიურისტებია, რომლებიც ფულისთვის თავსაც ჰყიდიან და სხვასაც. „ჯიბეც გაძღებოდეს ლუკმა პურის—მათი შინაარსი“.

რა აქვთ საერთო ამათ დირიჟორებს? შექმნა ისეთი მდგომარეობის, რომ ქართველებს ბათუმში შესვლა გაუძნელდეთ. დაარწმუნონ ანტანტა, რომ ბათუმი სადავო ქალაქი და ოლქია და რომ საქართველოს უფლება სადავოა. ამაში ორივე ერთნაირად არის დაინტერესებული და თუ ეს შესძლეს, მერე ერთმანეთ შორის ან ასე მორიგდებიან ან ისე. ხოლო თუ საქართველომ დაიჭირა ოლქი და ქალაქი, მერე მათ პრეტენზიების განცხადებას მნიშვნელობა ეკარგება. და აი მთელი ენერგია და მთელი აგიტაცია აქეთ არის მიმართული. დადიან ხალხში, მართავენ კრებებს, აგროვებენ ხელებს, თხზავენ ათასგვარ ჭორებს და ერთმანეთ კიდევ საფრთხეში აგდებენ მთელი ოლქის მყუდრო და მშვიდობიან ცხოვრებას. და უბედურება ის არის, რომ მათ აგიტაციას ყურს უგდებენ, აჯერებენ და ნაყოფიც იღებს. და ყოველივე ეს ხდება ინგლისის მმართველობის თვალ-წინ. ავანტიურისტები თავისუფლად დაპარპაშობენ, არავინ მათ ხელს არ უშლის და ასე მზადდება და საფუძველი ეყრება იმ ანარქიის, რომლის ცეცხლს არა ერთი და ორი კარმიდამო დაუფერფლავს.

ბათუმი და მისი ოლქი ამ ჯარის ავანტიურისტების ნამდვილ ბუდედ გადაიქცა. ჩვენს მთავრობას არ შეუძლია, ნება არ აქვს შიგ ჩაერიოს უფროსის გარეშე. ყოველივე იმან, რაც დღეს ბათუმის ოლქში ხდება, ქალაქისა და ოლქის დღევანდელი მდგომარეობა, საზოგადოებრიობა და ისტორიული წარსული, აწმყო—და მომავალი და თვით ოლქის მცხოვრებთა სურვილი დაჟინებით მოითხოვს, რომ ბათუმი და მისი ოლქი გადაეცეს საქართველოს, როგორც მისი ნაწილი, როგორც მისი კუთხე.

ჩვენ გვჯერა, რომ ადრე თუ გვიან ეს მაინც ასე მოხდება, მაგრამ თუ ეს თავის დროზე არ მოხდა, დაგვიანებით შეიქნება დიდი დაბრკოლება არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მოკავშირეებისათვისაც. ამიტომ ბათუმის ბედი დაჩქარებით უნდა გადაიჭრას. დაყოვნება შეიძლება დანაშაულად იქცეს...

გაბ.

P. S. ეს წერილი დაწერილი გვქონდა, როცა ბათუმში მოვიდა ინგლისელების რამდენიმე ასეული ჯარის კაცი კონსტანტინოპოლიდან.

გ.

უკანასკნელი ცნობები

გაგრა. თებერვლის 15. შავი ზღვის პირის გლეხთა ლაშქრის მთავარი შტაბის ცნობა: 13 თებერვალს, ტუაფსის ოლქის საზღვარზე, ჩვენმა მოწინავე რაზმმა, შემოუარა რა მოხალისეთა ტუაფსის რაზმს მარცხენა ფრონტიდან, გრიგალისებური შეტევით მას უწესრიგოდ უკან დაახევინა. მოხალისეები დიდათ დაზარალდნენ. ხელთ ვიგდეთ 3 ზარბაზანი ცხენებითურთ, 3 ყუთი ყუმბარებით, 8 ტყვიისმფრქვეველი, 300 ტყვე მათ შორის 47 ოფიცერი, ხელთ ვიგდეთ აგრეთვე 90 ცხენი, მტრის „ობოზი“ და 2 ვაგონი ფქვილი.

(საქ. დეპ. სააგენტო),

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

16 თებერვალი

ფრანგული პრესის ცნობები.

ბერლინიდან იუწყებიან: საფრანგეთის საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა პარიზში მყოფ გერმანიის მისიას ნოტით, რომლითაც აცნობებს მას გერმანიის დაპირებაზე; ამ დაპირების ძალით გერმანიამ საფრანგეთს ყოველწლიურად უნდა გადასცეს 7 მილიონი ტონა ნახშირი. თუ გერმანიის მთავრობამ 1920 წლის მარტის პირველისათვის არ გადასცა საფრანგეთის მთავრობას ის ნახშირი, რომელიც მას თებერვალში უნდა გადასცემოდა, იმ შემთხვევაში საფრანგეთის მთავრობა რეპრესიებს და ეკონომიურ პოლიტიკას მიმართავს.

ლონდონის კონფერენცია დღისით ადრიატიკის საკითხს იხილავდა. მარშალმა ფოშმა და ვილსონმა მოლაპარაკება გააგრძელეს.

საღამოთ ლონდონის კონფერენცია ოსმალეთის საკითხის გარჩევას შეუდგა. როგორც მილიგრამმა „პტი პარიზიენის“ რედაქტორს განუმარტა, კონფერენციაზე მიიღეს ის გადაწყვეტილება, რომელიც წინდაწინვე იყო და ამ გვარად ლონდონმა და პარიზმა გაიმარჯვა. კონსტანტინოპოლში რჩება ოსმალეთის ბატონობა, მაგრამ სრუტეების თავისუფლება კი უზრუნველყოფილი იქნება, ე. ი. მას დაიცავს მოკავშირეთა ჯარების ნაწილები. საკითხი მცირე აზიის შესახებ ღიაა, მაგრამ არ გადაუწყვეტიათ. ვენიზელოსს ამ კვირას ელიან. ამისათვის ძნელია ამ საკითხების გადაწყვეტა.

გუშინ კონფერენციას მსჯელობა ჰქონდა ავსტრიის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ. კონფერენციამ განიხილა ავსტრიის ნოტა კონტროლის მოხსნის შესახებ.

შვეიცარიის საერთო კრებაზე კონფედერაციის პრეზიდენტმა წაიკითხა ლონდონიდან მოსული დეპეშა, სადაც ნათქვამი იყო, რომ ერთა ლიგის მიერ უზრუნველყოფილი იქნება შვეიცარიის ისეთი ნეიტრალიტეტი, როგორსაც ის ითხოვდა, თუ იგი ერთა ლიგაში შემოვა.

საზავო და სამხედრო ექსპერტები შეიკრიბნენ ლონდონში, ორშაბათ დილით. ხლოსამ [illegible] მაღლი ფაში. ისინ[illegible] რანტიებს, რომლითაც მიღებულ იქნება სავაჭრო სრუტეების თავისუფლების უზრუნველყოფა.

იტალიის პრესის ცნობები.

პალატის რამდენიმე დეპუტატის წინადადების საპასუხოდ გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა გრაფმა სფორცამ სთქვა: იტალიის დიპლომატიური წარმომადგენელი უკვე გაგზავნილია სომხეთში და იტალია დიდათ ბედნიერი იქნება თუ სომხეთი თავის მხრივ რომში თავის წარმომადგენელს დანიშნავს.

უკანასკნელი სტატისტიკური ცნობების მიხედვით იტალიის მოსახლეობა 45 მილიონი სული ყოფილა. თითეულ კვადრატულ კილომეტრზე 130 მოსახლე. ეს ერთად ერთი ერია, რომლის მცხოვრებთა რიცხვიც ომის შემდეგ გაიზარდა.

ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი. თებერვლის 14. მოსკოვის გუბერნიის ნარო-ფომინსკის მაზრაში კვირა დღეს 600 კაცმა იმუშავა. გააკეთეს შემდეგი საქმეები: თოვლისაგან გასწმინდეს ლიანდაგის 450 კვადრ. საჟენი რკინის გზის, დასცალეს 10 ვაგონი და დააწყვეს 145 საჟენი შეშა.

ნოვგოროდი. 13 თებერვალს მიუხედავად ფრონტის კვირის დასრულებისა, შემოწირულება მაინც კიდევ მოდის. შემოწირულება დეპარტიზირებულთაც არ უნანებიათ. ასე, გამასწორებელი სახლის პატიმრებმა თავისი მშიერი ნორმიდან, ორი დღის პურის წილი წითელი ჯარის სასარგებლოთ გადადეს.

ნოვგოროდი. 13 თებ. ტრანსპორტის ელსადგურებით და თოვლისაგან გზების გასაწმენდათ იმართება „სუბოტნიკები“ მუშაობენ ქალაქის ყველა მცხოვრებნი და მახლობელი სოფლები. ერთ ასეთ შაბათის დღეს სამუშაოთ გამოვიდა ამლათ არჩეული აღმასრულებელი კომიტეტის მთელი შემადგენლობა.

სარატოვი. 12 თებ. ურალსკის რკ. გზ. მოძრაობა განახლდა. ეს გზა სარატოვს ტაშკენტთან აერთებს.

სამხედრო ცნობა. ჩრდილოეთ დონის მიმართულებით სადგ. ბლიაგოვეშჩენსკის ჩრდილო აღმოსავლეთით 45 ვერსზე ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა და მტერი ძირეულად დაამარცხა. წამოვიყვანეთ 1000-მდე ტყვე. არხანგელსკის რაიონში, რკინის გზის და ონეგის მიმართულებით ბრძოლაა. პოლოცკის ჩრდილოეთით 15 ვერსზე მტერი მდ. დასავლეთ დვინაზე გადავიდა, მაგრამ კონტრ-იერიშით უკან გავდევნეთ. მოზირის და ჟიტომირის რაიონში მდგომარეობა არ შეცვლილა.

მოსკოვი 15 თებ. რადიო „იზვესტია“ სხვათა შორის სწერს: პოლონეთ-საფრანგეთის დამოკიდებულება განსაზღვრავს კაპიტალისტური საფრანგეთისა და საბჭოთა რუსეთის დამოკიდებულებას.

ახალი ამბები

იტალიის მისიის ჩამოსვლა. გუშინ თბილისში ჩამოვიდა იტალიის სამოქალაქო მისია სენატორ კონტის მეთაურობით.

◆ დამფუძნებელ კრების სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის ბიურო გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ფრაქ-

კომუნისტების საქმიანობა *)

კარლ კაუცკისა

ტერორი.

ჩვენ მიერ დასურათებული საქმის მსვლელობა, რასაკვირველია, არ იყო ბოლშევიკების ნება სურვილით გამოწვეული. პირიქით, ბოლშევიკები თავიანთ მოღვაწეობიდან სულ სხვას მოელოდნენ, ვიდრე ეს სინამდვილეში მოხდა. ბოლშევიკებმა მოინდომეს წამხდარი საქმის გამოკეთება, მაგრამ ამას შეუდგნენ ისევ ძველის რეცეპტით, იმ საშუალებებით, რომლითაც ბოლშევიკურმა რეჟიმმა დაიწყო თავისი მოქმედება თავიდანვე, ესე იგი, დიქტატორითა ძალადობით, მათ მოქმედების შესახებ კი არავითარი კრიტიკა არ შეიძლებოდა. ტერორი შედეგი იყო კომუნისტური მეთოდების. ტერორი,—ეს თავგანწირული ცდაა ბოლშევიკებისა, რათა თავიდან აეცილებინათ ყოველიერ მათი მეთოდების შედეგები.

ბოლშევიკების ტერორიზმი იწყება პრესის თავისუფლების სრული გაუქმებით და ბოლოვდება ხალხის მასსიური დახვრეტით, რაც იწვევს საერთო სიძულვილს ბოლშევიკებისადმი. ტერორი—ეს ბოლშევიკების ტრადიციული მეთოდია და არა მათი დანაშაული იმდენათ, რამდენადაც ასეთ მასსიურ ისტორიულ მოვლენას შეიძლება შეეფერებოდეს დანაშაულის შემეცნება, რომელიც შეიძლება შეეხებოდეს მხოლოდ პიროვნებას.

ვისაც უნდა გაარჩიოს კითხვა დანაშაულის შესახებ, მან თავის გამოკვლევის ობიექტი უნდა გაიხადოს კერძო პირთა მიერ მართვის ფორმები, რადგანაც ნებას ყოფს მხოლოდ პიროვნებები აქვთ. მასსას, კლასს, ნაციას არ შეუძლიათ იქონიონ ასე თუ ის სურვილი, მათ ამისათვის საჭირო ორგანო არ მოეპოვებათ და მაშასადამე, მათ არც შეუძლიათ ცოდვების ჩადენა; მასსას და ორგანიზაციას აქვს უნარი ერთგვარი მოქმედების, მაგრამ მის მონაწილეთა შეუძლია სულ სხვადასხვა მოტივები ამოქმედებდეს. მოტივებს კი მთავარი მნიშვნელობა აქვს მორალურ დანაშაულის საკითხის გარჩევის დროს. უეჭველია, ბოლშევიკებს კარგი მოტივები ამოქმედებდა. თავიანთ ბატონობის პირველ ხანებში ისინი შთაგონებული იყვნენ ჰუმანიური იდეალებით აღჭურვილ ადამიანებზე, რომლებიც გამომდინარეობდნენ პროლეტარიატის კლასობრივ მდგომარეობიდან. მათი პირველი დეკრეტი შეეხებოდა სიკვდილით დასჯის გაუქმებას. და თუ ხშირათ ილაპარაკობენ ბოლშევიკების დანაშაულობაზე, უნდა შევხედოთ სწორედ იმ დროს, როდესაც გამოიცა ეს დეკრეტი და როცა გადასწყვიტეს ბოლშევიკებმა დემოკრატიის პრინციპების და ისტორიული მატერიალიზმის დავიწყება. ამ პრინციპების, რომლებსაც ისინი რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში იცავდნენ, რომ ჩაეგდოთ ძალა-უფლება ხელში. მათი დანაშაული მდგომარეობს იმ დროს, როდესაც ბოლშევიკებმა იხმარეს ბაკუნინისტებისებრ 1873 წელს, მიუხედავად რუსეთის შემთხვევითობისა, „დაუყონებლივ, სრული განთავისუფლება მუშათა კლასის“ და ამ მიზნისათვის, რადგანაც დემოკრატია „ეჭვიანი“ იყო, ბოლშევიკებმა პროლეტარიატის დიქტატურის ფორმით გამოიყენეს საკუთარი დიქტატურა. აქ უნდა ვეძებოთ მათი დანაშაულობა.

დაადგნენ რა ამ გზას, მათ არ შეეძლოთ აეცილებინათ თავიდან ტერორიზმი. აზრი იმის შესახებ, რომ დიქტატურას შეუძლია მშვიდობიანი გზით მართოს ქვეყანა,—ეს ილუზიაა. რევოლიუციონური ტრიბუნალები და „ჩრეზვიჩაიკები“ შეიქმნენ ტერორის იარაღად, რომელთა შესახებაც ჩვენ ზევით გვქონდა ლაპარაკი. როგორც პირველებმა, აგრეთვე მეორეებმა აუარებელი მსხვერპლი შეიწირეს. სამხედრო დამსჯელი რაზმების ექსპედიციის მსხვერპლი ხომ ჯერ გამოუთვლელია. „ჩრეზვიჩაიკების“ მსხვერპლთა რაოდენობა თვალსაჩინოა. მინიმალური ანგარიშით დასჯილთა რიცხვი უდრის 6000, ზოგიერთი ცნობით ეს ციფრი ორჯერ, სამჯერ უნდა გავადიდოთ. გარდა ამისა, აუარებელი ხალხი ციხეებში დამწყვდეული. მრავალი ტუსაღთაგანი წამების და დამცირების საგნათ ჰყავთ გახდილი. ბოლშევიზმის დამცველები ამტკიცებენ იმაზე, რომ ბოლშევიკების მტრები—უნგრეთის თეთრგვარდიელები, ბალტიის მხრის ბარონები, მეფის კონტრ-რევოლიუციონური გენერლები და ადმირლები, ბოლშევიკზე უკეთესად არ იქცევიან ამ მხრივ. მაგრამ განა ერთის ქურდობა, გასამართლებელი საბუთია, რომ მეორემაც მოიპაროს?

სხვები (რეაქციონერები) არ ღალატობენ თავიანთ პრინციპებს, რომლისაც ძალა-უფლების შერჩენის გულისათვის ხალხს მსხვერპლად სწირავენ.

ბოლშევიკებს ამის გაკეთება შეუძლიათ, მხოლოდ აგდებინათ სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვის გზით, რომლის საშუალებითაც ბოლშევიკებმა თვით აღიარეს და რის წყალობითაც ისინი ამაღლდნენ ხალხის თვალში.

განა ჩვენ ამისათვის არ ვებრძვით ბარონებს და გენერლებს, რომ ისინი არავითარ ფასს არ აძლევენ ადამიანის სიცოცხლეს და ხალხის სიცოცხლე მიაჩნიათ საშუალებათ თავიანთ ძალა უფლების შესანარჩუნებლათ? ლენინელებს სხვა და სხვა მიზნები, რომლებიც დასახული აქვთ ბოლშევიკებს და მეფის გენერლებს. დასახული მიზანი ამართლებს საშუალებებს, მაგრამ მიზანი ამართლებს არა ყველა საშუალებებს, არამედ—ისეთებს, რომლებიც შეეფერება მიზნებს. ის საშუალება, რომელიც ეწინააღმდეგება მიზანს, არ მართლდება თვით მიზნის მიერ.

როგორც არ შეიძლება სიცოცხლის დაცვა სიცოცხლის შეურაცხყოფის და მისი ნების შეწირვით, აგრეთვე არ შეიძლება პრინციპების დაცვა, მისი შელახვით. ის პირნი, რომლებიც კარგის სურვილებით მოქმედებენ და ამ თავიანთ სურვილებს ცუდი მეთოდებით ანხორციელებენ, შეიძლება გამართლებულ იქნენ, როგორც პიროვნებები, მაგრამ თვით საშუალებები, რომლითაც ისინი თავიანთ გეგმებს ახორციელებდნენ, ყოველთვის გასაკიცხი იქნება, თუ ის ზიანის მომტანია. მაგრამ მიზანი ბოლშევიკური ტერორისა ყოველთვის არ არის წმინდა. ბოლშევიზმის უმაღლესი მიზანი არის დაიცვას მის მიერ შექმნილი სამხედრო ბიუროკრატიული აპარატი მთავრობისა. ყოველ შემთხვევაში, ეს მიზანი ასულდგმულებს ბოლშევიზმს, როდესაც იგი ებრძვის მთავრობის დაწყობილებაზე მიმხვდარ ბიუროკრატიულებს. გაზეთ „პრავდის“ 1 აპრილის 1919 წლის ნომერში პირდაპირ გამოცხადდა, რომ ბოლშევიკებში და მთავრობის დაწესებულებაში უნდა გაწმენდილ იქნენ ყველა იმ თანამგზავრი ყაჩაღების და ავანტიურისტებისაგან, რომლებიც აფუჭებენ კომუნიზმს, რათა გამოიყენონ იგი თავიანთ ბოროტ მიზნებისათვის. ლენინმა ამის შესახებ უპასუხა: „წერილის ავტორი მოითხოვს, რომ ჩვენ გავწმინდოთ ჩვენი პარტია ავანტიურისტებისა და ბანდიტებისაგან. სრულიად სამართლიანი მოთხოვნილებაა, რომელიც ჩვენ კარგა ხანია დავსვით დღის წესრიგში და რომელსაც უკვე ვანხორციელებთ. ყაჩაღებს და ავანტიურისტებს ჩვენ ვხვრეტავთ და შემდეგშიაც დავხვრეტავთ, მაგრამ რომ ეს გაწმენდა მოხდეს ჩქარა, ჩვენ გვესაჭიროებიან გულწრფელნი და უპარტიო ინტელიგენტები“.

დახვრეტა ეს ალფა და ომეგა არის კომუნისტური მთავრობის სიბრძნისა. განა ლენინი არ მოუწოდებს ინტელიგენციას დაეხმარონ მათ ყაჩაღებთან ბრძოლაში? მართალია ეს, მაგრამ არ აძლევენ ინტელიგენციას იმ საშუალებას, რომლითაც მას შეეძლო დახმარების აღმოჩენა: **პრესის თავისუფლებას** მხოლოდ კონტროლით, პრესის სრული თავისუფლებით შესაძლებელი გახდება ღიად გამოაშკარაონ ის ყაჩაღები და ბანდიტები, რომლებიც ყოველგვარ შეუზღუდველ, უკონტროლო, მთავრობას ეტმასნებიან და ხშირათ იღებენ ძალაუფლებას ხელში იმის წყალობით, რომ არ არსებობს პრესის თავისუფლება. ამ დროს რუსეთის პრესა იმ ხალხთა ხელში იმყოფება, იმ მთავრობების დაწესებულებათა ხელში, სადაც მოკალათებულნი არიან ყაჩაღები და ავანტიურისტები. და რა გარანტია აქვს ლენინს, რომ ეს ავანტიურისტები და ყაჩაღები რევოლიუციონურ ტრიბუნალებში და „ჩრეზვიჩაიკებში“ არ მოექცევიან და მათის წყალობით არ დაიხვრიტებიან „გულწრფელნი და უპარტიო ინტელიგენტები“, რომლებიც სხვა მდგომარეობაში ამ ბანდიტების და ყაჩაღების ლაგამის ამომდები იქნებოდნენ. „ჩრეზვიჩაიკები“, რომლის მიზანიც არის ბოროტმოქმედების წინააღმდეგ ბრძოლა, აღჭურვილია შეუზღუდველი ძალა-უფლებით და არავითარი კონტროლი მის მოქმედებას თვალყურს არ ადევნებს, ესე იგი, მუშაობს ეს კომისია ისეთ პირობებში, რომ ადვილი შესაძლებელი ხდება კომისიისათვის ბოროტად გამოყენება თავისუფლების.

1793 წ. რევოლიუციონური ტრიბუნალი აღჭურვილი იყო შეუზღუდველ ძალა-უფლებით. დამნაშავეთა უფლებრივი გარანტია მინიმუმამდე იყო, მაგრამ ამ ტრიბუნალების სხდომები საჯაროთ იმართებოდა და ამგვარათ, შესაძლებელი ხდებოდა ერთგვარი კონტროლის გაწევა მისი მოქმედებისა. „ჩრეზვიჩაიკები“ ასამართლებენ ხალხს დახურულ კარებში და არავითარ უფლებრივ გარანტიებს არ აძლევენ მათ, ვისაც ასამართლებენ. დამნაშავეთ ხშირათ არც კი უსმენენ, მოწმეების დაკითხვა ხომ შეუძლებელ არის მიჩნეული. საკმარისია ერთი დასმენა, ეჭვი, რომ ადამიანს სიცოცხლე მოუსპონ. ამ ხასიათის პრაქტიკამ მიიღო ისეთი სახე, რომ მთავრობა იძულებული შეიქნა დაედგინა, რათა „ჩრეზვიჩაიკებს“ გამოუძიებლივ არ გაერჩიათ საქმეები. მაგრამ თვითნებობა ისე შესისხლხორცებულია დიქტატურასთან, რომ უკანასკნელის არსებობა უთვითნებობოთ შეუძლებელია. შემოღებისთანავე დადგენილება უქმდება იმით, რომ „ცხადი კონტრ-რევოლიუციონური შეთქმულების“ დროს ეძლევათ უფლება „ჩრეზვიჩაიკებს“ თავიანთ შეხედულებისამებრ გაასამართლონ დამ-

---

*) იხ. „ერთობა“ № 17, 20, 23, 24, 26, 30, 33.

ციის დადგენილების მე-2-ში ეკლესიების შესახებ შეცდომით არის დაბეჭდილი: „დღევანდელ მთავრობის თავმჯდომარეს", უნდა იყოს: „ეცნობოს მთავრობის თავმჯდომარეს".

◆ აკ. ჩხენკელის მოხსენება. დღეს ნავთლუღის მუშათა კლუბში საღამოს 4 საათზე რკ. გზის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე მოხსენებას გააკეთებს ევროპიდან ეხლახან დაბრუნებული დამფ. კრების წევრი ამხ. აკაკი ჩხენკელი. მოხსენება უფასოა.

◆ ამხ. სეით დევდარიანის ჩამოსვლა. 15 თებერვალს სევასტოპოლიდან ნოვოროსიისკ-ფოთით თბილისში ჩამოვიდა ამხანაგი ს. დევდარიანი.

◆ სახალხო უნივერსიტეტი. დღეს, სამშაბათს, 17 თებერვალს წაიკითხავენ ლექციებს 3 განყოფილებაში (ნაძალადევი) 1) ალ. წერეთელი—„ისტორია"; 2) დ. ასათიანი—„საფრანგეთის რევოლუცია"; 3) ექ. ცინცაძე—„საზოგადო ჯანმრთელობაზე. ცენტრში (პლეხანოვის პრ. № 123) 1) ექ. ტურაშვილი—„ჰიგიენა" 2) ვ. ბარნოვი—„ქართული მწერლობა".

◆ მუშათა კლუბი. დღეს, საღამოს 7 საათ. ს., მუშათა ცენტრალურ კლუბში (პლეხან. პრ., № 123), ამხ. შ. ნ. მანდელშტამი საქ. ახალგ. მარქს. ორგანიზაციის სასარგებლოთ წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „მუშათა კლასის თანამედროვე ეკონომიური პოლიტიკა".

◆ მთავრობის თავმჯდომარემ შემდეგი დეპეშა მიიღო: ნიგოითის თემის მრავალრიცხოვანმა ყრილობამ მოისმინა რა მოხსენება თანამედროვე მომენტზე და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის საერთაშორისო ოჯახში შესვლის შესახებ დამფუძნებელ კრების წევრის ამხანაგ ელისა მგელაძისა, თავის აღფრთოვანებას გამოსთქვამს და აცხადებს, რომ ქვეყნის დასაცველად და ჩვენ სახელმწიფოს გასამტკიცებლად ის მუდამ მზათ იქნება იბრძოლოს და იბრძოლოს ჩვენი ქვეყნის დემოკრატიასთან და მის მეთაურებთან ერთად. ყრილობა მტკიცედ ემყარება მოხსენებით და მთავრობის სწორი პოლიტიკით, მხურვალე სალამს უძღვნის რესპუბლიკის გვირგვინს—დამფუძნებელ კრებას და მის დემოკრატიულ მთავრობას. დადგენილებით ს. ნიკოლაიშვილი.

კრებები

დღეს, საღამოს 7 ს. მუშათა სახლში დანიშნულია საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა სხდომა. ვთხოვთ ამხანაგებს დაესწრონ.

პრეზიდიუმის კანცელარია.

თელავის მაზრის პროფეს. კავშირების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა მიმართა: 1) მომარაგების სამინისტროს საქონლის მიწოდების სახით გაეგზავნოს 1 მილიონის კრედიტი 50 მილ. ფონდიდან. 2) მომარაგების სამინისტრო—დაუთმოს საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისათვის დაკლებულ ფასებში თელავის მაზრაში შენახული პურები. 3) რესპუბლიკის პროფ. კავშ. საბჭოს აღმასრულ. კომიტეტს და სატარიფო პალატას—მიაქციოს ყურადღება თელავის მაზრაში მუშა-მოსამსახურეების მძიმე მდგომარეობას. სიძვირე გაიზარდა 400 პროცენ., მომატებები არ იძლევიან. საბჭო ითხოვს ტარიფების დაწესებას მაზრისათვის.

სომეხ-თათართა შეტაკების გამო

მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ 11 თებერვალს შემდეგი დეპეშა მიიღო აზერბეიჯანის სამხრეთ დასავლეთის ნაწილის თათრებისაგან.

„ჩვენ, აზერბეიჯანის რესპუბლიკის სამხრეთ დასავლეთის ნაწილის მცხოვრებნი, მაშინ, როდესაც ჩვენ უცდით თბილისის კონფერენციის მუშაობის დამთავრებას, რომელმაც თავს იდვა სომხეთ-აზერბეიჯანის მთავრობათა უთანხმოებათა მშვიდობიანის გზით გადაჭრა, კვლავინდებურათ განუწყვეტლივ თავს გვესხმიან სომხეთის სახელმწიფო შედგენილ რეგულარული ნაწილები. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ამერიკულ მოლკონიკების დელის და შულის ნაბიჯებში ყოფნის დროს სომხები ს. ს. ეჩებ თავს დაესხნენ, მაგრამ იძულებული ვართ თქვენ მაღალ აღმატებულებას მოვახსენოთ იმ თავდასხმების შესახებ, რომელთა ჟამს ჩვენ ძალიან დაგვზარალდით: 1) 1920 წელს 6 იანვარს ს. პირაკის სომხები სხვა სომხებთან ერთად სოფ. ბალახს დაეცნენ. 3 საათის ბრძოლის შემდეგ ს. ბალახი გაანადგურეს, მოკლულია ჩვენი მხრით 15 კაცი, 50 ქალი და 25 ბავშვი. თავდამსხმელთა შორის ზანგეზურელი სომხებიც იყვნენ; 2) 16 იანვარს: დღის, დილის 9 საათიდან სომხებმა ზარბაზნების სროლა აუტეხეს სოფ. ჩივას (შარურის მაზ.) 1 საათ. ბრძოლის შემდეგ ისინი იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ, რადგან ჩვენ დახმარება მოგვეშველა მეზობელ სოფლებიდან. აქ ჩვენ მოგვიკლეს 3 კაცი. 3) 8 იანვარს ზეიფ ფილიდან: დავალუში მიმავალ ჩვენებს სროლა აუტეხეს. საერთოდ ამ ბოლო დროს სომხები თავხედურათ იქცევიან; 4) 22 იანვარს 10 სომეხი თავს დაესხა არა დუზბაშში მიმავალ ებულენტებს, რომელთაც ყირგიზი ხორბალი მიჰქონდათ თან. ჩვენი მხრით მოკლულია 3 და წაიყვანეს 21 დატვირთული ვირი და 1 ცხენი; 5) 23 იანვარს სომხები თავს დაესხნენ აღმიანის სოფლებს, მოკლეს 5 კაცი, გაიტაცეს 600 ცხვარი და გზაში წაიყვანეს 2 ქალი; 6) 23 იანვარს სომხები დაეცნენ სოფ. კარიგშის, შელს, ბეგის და ტიზას მოწინავე პოზიციებს. მოკლეს 2 და დაჭრეს 3 კაცი; 7) 23 იანვარს სომხებმა შეუტიეს სოფ. იარინიას. 2 საათის სროლის შემდეგ უკან გაბრუნდნენ; 8) 23 იანვარს: ეს არის ეხლა მივიღეთ ცნობა, რომ სომხებმა სროლა დაუწყეს ს. ს. ჩივას და ზარაბიეს. მოველით თქვენს განკარგულებას"; 9) 21 იანვარს. ორდუბათიდან: სომხების დიდი ძალებმა, დაახლოვებით 300 კაცამდე, სოფ. აზას ალყა შემოარტყეს, მაგრამ დახმარება მოგვეშველა და სომხებს უკან დაეხიათ. მოგვიკლეს ორი, დაგვიჭრეს ერთი. ამ თავდასხმით სომხები ცდილობენ, ჩვენც გამოგვიწვიონ და ამავე დროს კი პრესაში გვჰკიდიან, რომ თითქოს ყველაფერში ჩვენ ვიყოთ დამნაშავე, როგორც ზემოთ მოყვანილ ფაქტებიდან და ჩვენ ხელთ მყოფ სარწმუნო ცნობებიდან სჩანს, ეს თავდასხმები წინასწარ განზრახვის ხასიათისაა და მოწყობილია, არა მცხოვრებთა ან ცალკე ბრბოების მიერ, არამედ ვფიქრობთ, რომ სომხეთის მთავრობის მოეხსენებოდა, რადგანაც ეს თავდასხმები მზადდებოდა. გაუწყებთ რა ზემოთ მოყვანილს, გთხოვთ, თქვენო მაღალ აღმატებულებავ, მცხოვრებთა გამოუვალ მდგომარეობაში შეხედვით და სამართლიანობისა და კაცთმოყვარეობისათვის უარი არ გვითხრათ და მიიღოთ ზომები საზღვრებზე სომხების ასეთ საქციელის შესაწყვეტათ, ჩვენი მოთმინება განუსაზღვრელი არ არის. თუ ზომები არ იქნება მიღებული ჩვენ ვიდგებით ხელს მომავლისათვის პასუხისმგებლობაზე. გვირჩიეთ, როგორ მოვექცეთ ასეთ საპასუხისმგებლო დროში. ბუტყაშევი, ხოლტაშოვი, მამედ ზადე, ხადიჯ-ზადე, მირ ფანაზადე, ზადი-ფაშაბა-ბეკ-ზადე, ჯალმან ბეგ-გუბერნატორი.

დავით კლდიაშვილის იუბილე

15 თებერვალს სახელმწიფო თეატრში 30 წლის სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობის აღსანიშნავათ ქართველმა საზოგადოებამ იუბილე გადაუხადა დამსახურებულ მოხუც მწერალს—დ. კლდიაშვილს.

სახელმწიფო თეატრი ხალხით იყო გაჭედილი. დაესწრნენ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრები, მთავრობის წევრები და მრავალი სხვა საზოგადო-სახელმწიფო მოღვაწენი.

პირველ განყოფილებაში ივ. გომართელმა მოკლეთ დაახასიათა კლდიაშვილის შემოქმედება. ხაზი გაუსვა მის იუმორის თავისებურობას და სატირულ დახატვას დაცემული წოდების—თავად-აზნაურობის [illegible].

მეორე განყოფილებაში სცენაზე გამოვიდნენ მწერლები და სხვა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. იუბილიარის გამოსვლას მთელი დარბაზი ცხარე ტაშის ცემით ხვდება და ოვაციებს უმართავს. მუსიკა უკრავს ჰიმნს. იუბილიარი იკავებს საგანგებოთ დამზადებულ ადგილს სცენაზე. შემდეგ იწყება მილოცვები. პირველად იუბილიარს მიესალმა ქ. მაჩაშვილი, მწერალთა კავშირის სახელით. შემდეგ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის და ხელოვნების კომისიის სახელით ივ. გომართელი, წაკითხულ იქნა განათლების მინისტრის ამხანაგის მისალმების წერილი და სამხედრო მინისტრის ტელეგრამა, რომლებსაც საზოგადოება ცხარე ტაშით შეხვდა.

შემდეგ ესალმებიან ქ. თბილისის სახელით ბ. ჩხიკვიშვილი, ქალაქთა კავშირის არჩ. ჯ. ჯ. ნაშვილი, ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების სახელით მ. კაკაბაძე, მომღერალთა საზოგადოების სახელით მიულოცა ვ. ჩხაიძემ.

შემდეგ ესალმებიან, წარმომადგენლები გორის ერობისა, ქუთაისის გარნიზონისა, გორის გარნიზონისა, ქალთა კავშირისა, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირისა, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისა, თბილისის დრამატიულ საზოგადოებისა, რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა კავშირისა, სახალხო უნივერსიტეტისა და სხ. დასასრულ მგრძნობიარე სიტყვით და ლექსით მიულოცა იუბილიარს ვლასა მგელაძემ.

იუბილიარმა მოკრძალებით მადლობა გადაუხადა საზოგადოებას და ცრემლებით წარმოსთქვა: მე ბედნიერი ვარ იმითაც, რომ მოხუცებულობის დროს მოვესწარი ჩვენი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, მის ცნობას და ხალხთა შორის თანასწორი უფლებით სათანადო ადგილის დაჭერას... გმადლობთ ყველას, უსაზღვროთ გმადლობთ...

შემდეგ წარმოდგენილ იქნა „უბედურება" და „დარისპანის გასაჭირი". ნასიამოვნები საზოგადოება ღამის 12 საათზე დაიშალა.

დამფუძნებელი კრება

13 თებერვლის სხდომა.

(დასასრული)

პ. გელეიშვილი (ს. დ.). საქმის ფაქტიური მხარე მინისტრმა გაარკვია, მე მხოლოდ ცოტაოდენ დამრჩა დასამატებელი. ლ. შენგელაიამ ბრძანა, რომ სამინისტროს არაფერი გაუკეთებია, მე კი ის მაკვირვებს თუ არსებულ ობიექტიურ პირობებში იმდენის გაკეთება როგორ შესძლო სამინისტრომ, რაც გააკეთა. უნდა მოიგონოთ ის პირობები, რომელშიაც უხდებოდა სამინისტროს მუშაობა. და ეს პირობები კი მდგომარეობდა მიწისძვრაში და ანარქიაში. გაიხსენეთ ბორჯომის და ახალციხის ამბები. ჩვენი მამულების კი არა, ოქრო-ვერცხლის წამოღება ვერ მოვახერხეთ, მტერმა დაიჭირა ეს ადგილები. შემდეგ ორატორი ვრცლად ეხება ეს-ერების ბრძოლის მეთოდს და ამბობს: თქვენ მეჩხარული მეთოდი გაქვთ, თქვენ მიდიხართ მოხელეებთან და იმათ არათმცეთ ცნობებს. გასაკვირია, რომ მოხელე გეტყვით: ეს არ ვარგა, ის არ ვარგა, მოვრიალმა ქვეყანა დალუპა და სხვ. თქვენ კი ამ ცნობებით აქ გამოდიხართ და „კრიტიკას" აწარმოებთ, მე კრიტიკის წინააღმდეგ არ ვარ, კრიტიკა ჩემი სტიქიაა, მაგრამ თქვენ ცუდათ ხმარობთ ამ იარაღს. თქვენ მოხელეებთან კი ნუ მიდიხართ, თქვენ შედით პირდაპირ მინისტრთან და მისგან მიღებული ცნობები გააკრიტიკეთ. თქვენი სიტყვიდან გამოდიოდა, რომ რაღაც ბოროტ-მოქმედება მომხდარიყოს. გამოდით ბ. ამ ტრიბუნაზე და დაასახელეთ კონკრეტიულათ თუ რა ბოროტ-მოქმედება მოხდა. მე ვამტკიცებ, რომ მიწათ-მოქმედების სამინისტროში არავითარი ბოროტ-მოქმედება არ ხდება. თუ რომელიმე მოხელე ბოროტ-მოქმედებას ჩაიდენს, ის დაუყოვნებლივ გასამართლებული იქნება სასტიკათ წესით. ბ. შენგელაიამ სთქვა, რომ სახაზინო მიწებიც ფონდში გადადიოდა. მე უნდა მოგახსენოთ, რომ მართალია ნაწილი სახაზინო მიწებისა გადადის ფონდში, მაგრამ იცით რა მიზნით?—გაიხსენით. ზოგიერთ ჩვენს მაზრებში ნამეტანი სივიწროვეა მიწის, იქ ხელოვნურათ არავის შეუძლია მიწის რაოდენობის გადიდება. ასეთ ადგილებიდან ჩვენ გამოვიყვანთ ხალხს და სხვაგან დავასახლებთ, და ამ პოლიტიკის გასატარებლათ საჭიროა ისეთი ველი, როგორიც არის ყარაიის ველი და სხ. გადავიდეს ფონდში და უმიწაწყლო გლეხები იქ დავასახლოთ. განა ეს სასაყვედურო არის?—ყოველ შემთხვევაში ეს სამინისტროს დანაშაულად არ უნდა ჩაითვალოს. შემდეგ ორატორი ამტკიცებს ციფრებით, რომ ტყეებს ძველ მთავრობის დროსაც ზარალი მოჰქონდათ, ხოლო ამ ტყიდან შემოსავალი იყო არა 9 მილიონი, როგორც შენგელაიამ სთქვა, არამედ 12 მილ. მანეთზე. მამულების მთელი პატრონობა ხაზინადარით არის დაყენებული. თუ არ გჯერათ ბ. შენგელაია, მიბრძანდით და დაათვალიერეთ. დასასრულ ორატორი მოითხოვს, რომ წარმოდგენილი ხარჯები ჯამშიერ მიღებულ იქნას უცვლელათ.

ბ. ნუცუბიძეს წინადადება შეაქვს, რომ ეს საკითხი გადაიდოს მანამ, სანამ კითხვით არ მიმართავს დამფუძნებელი კრება თავის მიერ არჩეულ სახელმწიფო კონტროლიორს მიწათ მოქმედების სამინისტროს ანგარიშების შესახებ.

შემდეგ ლაპარაკობს ლ. შენგელაია, რომელიც იმეორებს წინა სიტყვის დებულებებს.

თავმჯდომარე. უკვე ორი საათია რეგლამენტის ძალით ახლა უნდა გადავიდეთ შეკითხვაზე, სიტყვა ეძლევა მომარაგების მინისტრის ამხანაგს.

მომარაგების მინისტრის ამხანაგის ივ. [illegible] სიტყვა.

მოქალაქენო! ორი კვირის წინეთ დამფუძნებელ კრების წევრმა ბ-ნმა გრიგოლ ვეშაპელმა თქვენს წინაშე „დაასაბუთა" თავისი შეკითხვა აფხაზეთში თამბაქოს მონოპოლიის გატარების საქმის არა ნორმალურ მდგომარეობაში ყოფნის შესახებ. სიტყვის დასაწყისში ბ-ნმა ვეშაპელმა მიაქცია თქვენი ყურადღება იმ ორგანოზე, რომელიც თანახმათ კანონისა უნდა შეედგინა მთავრობას მაგარი ფასების შესამუშავებლათ და განაცხადა: „მე არ ვიცი შეადგინა თუ არა მთავრობამ ასეთი ორგანო, თუ შეადგინა, ის უნდა ყოფილიყო ოფიციალური და ამ ორგანოში უნდა შესულიყვნენ აფხაზეთის მეთამბაქოეების წარმომადგენლებიც". ბატონებო! მე არ ვიცი რას უწოდებს ბ-ნი ვეშაპელი ოფიციალურს და არა ოფიციალურს, ხოლო ის კი ვიცი, რომ ის ორგანო, რომელიც შეადგინა მომარაგების სამინისტრომ მტკიცე ფასების დასამუშავებლათ, ოფიციალურიც იყო და კანონიერიც. თამბაქოს მონოპოლიის გატარების კანონის მეორე მუხლის შენიშვნა შემდეგს ლაპარაკობს: „მტკიცე ფასების შესამუშავებლათ არსდება ორგანო, რომელშიაც შედიან მთავრობის, საზოგადოებრივ ორგანიზაციების და სავაჭრო პალატის წარმომადგენლები". ამ ორგანოში, რომელიც მომარაგების სამინისტრომ შექმნა, შედიოდნენ: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგი ს. ჟვანიაძე, სახელმწიფო სამმართველოს წარმომადგენელი, სავაჭრო სამრეწველო პალატის წარმომადგენელი, ქალაქთა კავშირის, კოოპერატივთა კავშირის და მეთამბაქოეთა წარმომადგენლები. ეს ორგანო სავსებით აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნილებებს ამ ორგანომ დააწესა მტკიცე ფასები და იმის მტკიცება რომ თითქო კანონი იყოს დარღვეული, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ის გარემოება, რომ ორგანოში არ შესულან სოხუმის ოლქის მეთამბაქოეთა წარმომადგენელნი, საქმეს არას ავნებს. მით უმეტეს, რომ სამინისტრომ ანგარიში გაუწია იქაურ მეთამბაქოეების მოთხოვნილებასაც და მოთამბაქოე ფუთზე ხუთი თუმანი დაუმატა შეკრულ თამბაქოზე.

არ არის მართალი ბ-ნ ვეშაპელის მეორე ბრალდებაც. ბ-ნი ვეშაპელი ბრალს გვდებს იმაზე, რომ თითქო ჩვენ ისეთი დიდი საქმე, როგორიცაა მონოპოლიის გატარებაა, ჩვენ მივანდეთ ერთ პირს. იმ ინსტრუქციაში, რომელიც სამინისტრომ შეიმუშავა და რომელიც სოხუმში გამოგზავნილ აფხაზეთის კომისარიატის და სამინისტროს მთავარ რწმუნებულის ხელის მოწერით, შავით თეთრზე დაწერილი: Техническое выполненіе работ по заготовки листоваго табаку под главным руководством и по директивам Главноуполномоченнаго Министерства Снабженія поручено Комиссаріату Абхазіи". ინსტრუქციის ეს ადგილი სავსებით აბათილებს ბ-ნ ვეშაპელის მეორე ბრალდებას და ამის შესახებ არც მე გავაგრძელებ სიტყვას.

ბ-ნი ვეშაპელის მესამე ბრალდება იმაში მდგომარეობს, რომ ყიასაშვილს მტკიცე ფასები გამოუცხადებია. ბატონებო! აფხაზეთის კომისარიატმა და სამინისტროს რწმუნებულმა გამოაცხადეს შესაფერ ორგანოს მიერ შემუშავებული მტკიცე ფასები. ამ მხრივ,—მე დარწმუნებული ვარ,—გარდა ვეშაპელისა, სხვა ვერავინ დაინახავს რაიმე კრიმინალს.

შემდეგ ბრალდებით ბ-ნი ვეშაპელი გვიყვება ყიასაშვილის მიერ ადმინისტრატიული სასჯელის შეფარდების და 8 კაცის დაპატიმრებას. ეს ბრალდება სწორეთ რომ სასაცილოა. ყიასაშვილს არავითარი სასჯელი არ შეუფარდებია და თუ ვინმე კი იყო დაპატიმრებული, ეს იყო ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ დააპატიმრა ისეთები, რომლებიც არ დაემორჩილნენ კანონის მოთხოვნილებას. კანონით თამბაქოს ყველა პატრონი ვალდებულია ჩააბაროს თამბაქო მთავრობის წარმომადგენელს, მაგრამ თუ ის კანონს ურჩობას უწევს, უარს აცხადებს კანონის მოთხოვნილების შესრულებაზე, ის უნდა დაისაჯოს. ასე მოიქცა სოხუმის ადმინისტრაციაც; მან ოქმი შეუდგინა ურჩებს და დასაჯა.

გ. ვეშაპელი. (ადგილიდან) ბოქლომი რა გატეხეთ?

ივ. [illegible]. დიახ, ამასაც ქონდა ადგილი, მაგრამ თქვენ ისიც გეცოდინებათ, თუ რა პირობებში მოხდა ბოქლომის გატეხა. შეთანხმებისამებრ ლაზარევი დიდი დავისა და წინააღმდეგობის შემდეგ გაუღებდა საწყობს კომისიას; ეს იყო 23 დეკემბერს, ხოლო 24 დეკემბერს ლაზარევმა მიიღო გასაღები იმ აზრით, რომ საწყობი მოუსპო კომისიას განკარგულებაში თამბაქოს მიღება. მაშინ კომისიამ შესაფერი აქტი შეადგინა და ბოქლომიც გატეხა, სხვაფერ არც შეეძლო მოქცევა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა სპეკულიანტი დამალავდა გასაღებს, ან სულ ზღვაში გადააგდებდა—ვინ იცის—და საშუალებას წაართმევდა მთავრობის აგენტებს შეესრულებინათ დაკისრებული მოვალეობა.

ბ-ნო! კანონი იმისთვის არსებობს, რომ ის შესრულდეს; და თუ კანონის ურჩობა დაუსჯელი დარჩა, მაშინ ვინ შეასრულებს კანონის მოთხოვნილებას?!. სოხუმის ადმინისტრაციაც ასე მოიქცა, მან დაიცვა კანონის ურჩი და სწორედ ისე მოიქცა. მაგრამ იმავე დროს აფხაზეთის კომისარიატმა დაითხოვა ის მოხელეც, რომელმაც ერთ შემთხვევაში თავის უფლებას გადააჭარბა და უდიერობა გამოიჩინა.

მეხუთე ბრალდება ის გახლავთ, რომ თითქო ჩვენს რწმუნებულს, ინგლისურ ფირმის „კოსმოსის" და ფინლიანდიურ ფირმის „ახმანის" წარმომადგენლებისათვის არჩევით მიუცია მაღალი ხარისხის თამბაქო და ამით დაუღუპავს დანარჩენ თამბაქოს საქმე. ბატონებო! სოხუმის ოლქში 900,000 ფუთი თამბაქოა. „კოსმოს" და „ახმან" სულ ჩააბარეს 22—25 ათასი ფუთი თამბაქო; კიდეც რომ არჩევით ჩაებარებინათ მათთვის თამბაქო ეს დარჩენილ თამბაქოს ღირსებას ვერას დააკლებდა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ბ-ნი ვეშაპელის ეს ბრალდებაც ისეთივე უსაფუძვლო და დაუმტკიცებელია, როგორც სხვა ბრალდებები. აღნიშნულ ფირმებთან დადებულ ხელშეკრულებებში გარკვეულია თუ რომელ ხარისხის თამბაქო რამდენი უნდა ჩაბარდეს. და სწორედ ამ პროპორციით ჩააბარა ჩვენმა რწმუნებულმა მათ თამბაქო. კიდევ იმედი და საბუთებით დაამტკიცოს ბ-ნმა ვეშაპელმა, რომ ეს ასე არ არის.

ბ-ნი ვეშაპელი, აყენებს რა ზემოთ ჩამოთვლილ ბრალდებებს, ასკვნის: ასეთმა არა-ნორმალურმა მდგომარეობამ გამოიწვია აუარებელი საჩივრები და ყოველ წაგვალია. მე კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ჩვენ არც ერთი საჩივარი არ მოგვსვლია, ხოლო აღელვება კი გამოიწვია მონოპოლიამ და არა ვისიმე მოქმედებამ. აღელვება გამოიწვია „სპეკულიანტების", სპეკულიანტების წრეში და არა პლანტატორებში. მონოპოლია სცემს სპეკულიანტების ჯიბეს და ამან გამოიყვანა ისინიც და მათი დამცველებიც. არავითარ საშუალებას არ თაკილობენ, ოღონდ მონოპოლია ჩაფუშონ, პროვოკაციასაც კი მიმართავენ ხოლმე, რომ მთავრობას პლანტატორები აუჯანყონ. ჩვენ ცნობები გვაქვს, რომ ასეთ პროვოკაციას ქონდა ადგილი: როდესაც „კოსმოსის" წარმომადგენლები იყვნენ სოხუმში, ხალხს ეუბნებოდნენ,—ამ გემში ფუთში მიიტანა დაძარცული საქონელი, იქ დატოვა და აქ ცალიერი მოვიდა, რომ თქვენი თამბაქო წაიღოს. დიახ, ბატონებო, გემში ფუთში დასტოვა საქონელი. ამ საქონლის მიღება და შეფასება ამ დღეებში დამთავრდება, რის შემდეგ დიდი ნაწილი ამ საქონლისა დაუყოვნებლივ გადაზიდვების სოხუმის ოლქის მცხოვრებთათვის. ჩვენ უკვე მივეცით წინადადება სოხუმის კომისარიატს, რომ მან გამოგზავნოს თავის რწმუნებული, რომელიც მიიღებს საქონელს და გადაზიდავს სოხუმში. ტყვილად ცდილობენ სოხუმელი სპეკულიანტები პროვოკაციით ფონს გასვლას,—ისინი ამ გზით პლანტატორებს ვერ გადაიყვანენ სწორ გზას. ეს ნათლათ დაამტკიცა 25 იანვარს მოწვეულ პლანტატორების ყრილობაზე. ამ ყრილობაზე იყო ერთი მიმართულება, რომელიც მონოპოლიას ებრძოდა. ამ მიმართულებას ხელმძღვანელობდა ნაციონალ-დემოკრატი დამფუძნებელი კრების წევრი ბ. ასათიანი, რომელიც სასტიკათ დამარცხდა: მისმა რეზოლუციამ მიიღო მხოლოდ 5 ხმა, ხოლო მეორე რეზოლუციამ, რომლითაც ყრილობა იწონებს მონოპოლიის გამოცხადებას და ესალმება მთავრობას მიიღო 69 ხმა, 5 კი თავი შეიკავა. როგორც ხედავთ პლანტატორები კმაყოფილნი არიან მონოპოლიის გამოცხადებით, არ არიან კმაყოფილნი მხოლოდ სპეკულიანტები და ბ. ასათიანი, რომელმაც ყრილობაზე სასტიკათ დამარცხების შემდეგ დამფ. კრების თავმჯდომარეს დეპეშით მიმართა და სთხოვა მონოპოლიის კანონის შეჩერება. დიდი გამბედაობა კი უნდა ქონდეს კაცს, რომ მოიქცეს ისე, როგორც მოიქცა ბ-ნი ასათიანი. ბ-ნმა ვეშაპელმა არაფერ მიმზიდველი წარმოიდგინა დასტოვა უყურადღებოდ. მისი აზრით მონოპოლია დაღუპავს წარმოებას. მე კი ვფიქრობ, რომ ეს მართალი არ არის. ჩვენ კარგად ვიცით, რომ საჭიროა ავანსების დარიგება პლანტატორებისათვის, რომ მათ განაგრძონ თამბაქოს მოყვანა. ამ მიზნით დავავალეთ ჩვენს რწმუნებულს შეეკრიბა საჭირო ცნობები. ეს ცნობები მან უკვე შეკრიბა და ჩამოიტანა. ჩვენც ახლა ვიმუშავებთ ამ ავანსების დარიგების წესს და მალე ამ საქმესაც მოვაგვარებთ.

ამნაირად, ბატონებო, თქვენ ხედავთ, რომ ჩვენ არც კანონი დაგვირღვევია, არც სოხუმის ოლქის მცხოვრებთა ინტერესები დაგვიწყებია და თამბაქოს მეურნეობის ბედზედაც გვიფიქრია.

მაშ რამ გამოიწვია ბ-ნი ვეშაპელის შეკითხვა? ეს შეკითხვა არის ერთგვარი დემაგოგია: სოხუმის ოლქში ამ მოკლე დროში არჩევნები დაიწყება და ბ-ნი ვეშაპელი ფიქრობს შეკითხვის შეტანით პარტიული კაპიტალის შეძენას, არჩევნებზე ორიოდე ხმის შეკრებას. მე დარწმუნებული ვარ, რომ „სკეპტიკები" და სპეკულიანტები მართლაც კმაყოფილნი დარჩებიან ბ-ნ ვეშაპელით და თავიანთ ხმებს არ მოაკლებენ მას; მაგრამ სოხუმის ოლქის დემოკრატია კი არ წამოეგება ვეშაპელის ანკესზე. დემოკრატია კარგათ არჩევს მოყვარეს მტრისაგან და იცის თუ ვის უნდა გაყვეს.

გრ. ვეშაპელი (ნაციონ.) ბ. მომარაგების მინისტრის ამხანაგი ამტკიცებს, რომ მტკიცე ფასების დამწესებელი ორგანო იყო შექმნილი კანონის თანახმათ. მე კი ვამტკიცებ, რომ საზოგადოებამ არაფერი არ იცოდა ორგანოს შექმნაზე. ასეთი ორგანოს შექმნის საქმეში აუცილებლად საჭირო იყო, რომ ფართე მონაწილეობა მიეღო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

ეს ორგანო არსად არ ყოფილა ოფიციალურათ დამტკიცებული. როდესაც გამოირკვა, რომ ამ თათბირის მიერ დაწესებული ფასები ცოტა იყო, მაშინ მომარაგების მინისტრის განკარგულებით ფასებს მოუმატეს. როგორც ხედავთ, მინისტრი ეხება ამ საქმეში და ამით ის უარყოფს იმ ორგანოს ფუნქციებს, რომ ყოფილიყო ნამდვილი ორგანო, თანახმათ კანონისა შექმნილი, მაშინ ფასების საქმეს ის ორგანო მიაწერდა. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ ფასები წინდაუხედავათ არის დაყოფილი. ვაჭრებს თუთუნზე მეტი ეძლევათ, ვინემ თუ ვინმე ყოფილ აზნაურებს და თავადებს. თუთუნის ფასები ძალიან მცირეა. ჩვენს საზღვარს იქით, ნოვოროსიისკში თუთუნი იყიდება 2500 მან. ფუთი, ერთი ფუთი თუთუნის მოყვანა ამ დროს ჯდება 1500 მ., მაშინ, როცა სამინისტრო 800 900 მან. აძლევს ფუთში. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, თამბაქოს კულტურა დაეცემა და მომავალში სულ არ გვექნება თუთუნი. შემდეგ ორატორი ეხება 25 იანვარს, მეთამბაქოეთა ყრილობას და ამბობს, რომ ყრილობამ აღნიშნა ფასების აწევის და საჭირო ორგანოს შექმნის აუცილებლობა. შემდეგ ორატორი არჩევს

ნიშნები. ამით ფართოდ ეხსნება გზა მხურვალე ხალხს თავიანთ სურვილისამებრ. ზემო აღნიშნული დადგენილების თანახმად უფლებრივი გარანტია დაცული იქნება მხოლოდ ყაჩაღების და ავანტიურისტების და არა „მშრომელ და უპარტიო ინტელიგენციისათვის", რომელთაც მოუწოდებენ მთავრობის დადგენილებათა გაწმენდას შეუწყონ ხელი.

განა ავით ეს გაწმენდა „კონტრ-რევოლუციონერის" საქმე არ არის? უბრალო უკმაყოფილების გამოთქმაც ისეთ სასტიკათ ისჯება, როგორც ბანდიტიზმი. და ამას არავინ ეწინააღმდეგება, რადგანაც ამ მხრივ მეტიონანი კომუნისტების და ყაჩაღების ინტერესები არ ეწინააღმდეგებიან ერთი მეორეს. ისინი ერთმანეთთან ებრძვიან საბჭოთა რეჟიმის კრიტიკოსებს. და ამავე დროს არავითარი ღონისძიება არ არის ღონისძიებაზე. ასე მაგალითად,—სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიამ „ბიულეტენში", რომელსაც მიზნათ ჰქონდა დასახული კონტრ-რევოლუციის, სპეკულაციის და სამსახურში ჩადენილ ბოროტმოქმედების წინააღმდეგ ბრძოლა, ამას წინად გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება: ამ ბოლო ხანებში მოპოვებული უტყუარი საბუთები, რომ კრასნოვის გვარდიის არ აძლევენ მოსვენებას მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერებს და მარცხენა ფრთის მენშევიკებს. მთელი მათი მოღვაწეობა მიმართულია მხოლოდ იქითკენ, რომ გახრწნა შეიტანონ ჯარში (ბრიანსკი, სამარა, სმოლენსკი), დაარღვიონ მრეწველობა (პეტროგრადი, ტულა), ტრანსპორტი და სასურსათო საქმე (რკინის გზების გაფიცვა). სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია აცხადებს, რომ იგი არავითარ განსხვავებას არ ხედავს კრასნოვის თეთრ გვარდიელებს და მენშევიკებს და მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერებს შორის, დამსჯელი ხელი საგანგებო კომისიისა ერთნაირის სისასტიკით მოეპყრობა, როგორც პირველ, ისეთვე მეორეთ. ჩვენ მიერ შეპყრობილნი მემარცხენე სოციალისტ რევოლუციონერები და მენშევიკები ჩაითვლებიან მძევლებათ, რომელთა ბედიც დამოკიდებულია ამა თუ იმ პარტიების მოქმედებისაგან. სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე ფ. ძერჟინსკი. (ს. რ. ც. აღ. კომ. „იზვესტია" № 59 1 მარტი 1919 წ.).

ამგვარად, რადგანაც ჯარში არის ნიშნები გახრწნის და სამრეწველო და რკინის გზის მუშებში უკმაყოფილება იზრდება, ბოლშევიკები ატუსაღებენ ხელმძღვანელ ელემენტებს, არა ბოლშევიკურ სოციალისტებს, და თუ ობსტრუქცია დაიწყებს მოქმედებას და კრიტიკას გაუწევს ბოლშევიკებს, შეპყრობილნი დახვრიტენ.

მუშათა კლასის უკმაყოფილების ნიშნობა, ასეთია უმაღლესი მიზანი, რომელმაც უნდა გაამართლოს მასსიური დახვრეტა ხალხის, რომელიც ამ ჟამად სუფევს რუსეთში, მაგრამ განა მასსიური ხვრეტა ბოლშევიზმის იხსნის ბოლშევიკებს გაკოტრებისაგან. ამას მოყვება შედეგათ ის, რომ ბოლშევიზმის დაცემას მასა მიიღებს არა ისე, როგორც მთელმა სოციალისტურმა პროლეტარიატმა მიიღო მეორე პარიზის კომუნის დაცემა, არამედ ისე, როგორც მთელმა საფრანგეთმა მიიღო რობესპიერის მე-9 ტერმიდორის 1794 წლის დაცემა, რომელიც იყო ხანგრძლივ ბოლშევიზმისაგან განთავისუფლება და არა ტიტანის გამოწვეული გრძნობა დამარცხებისა გამო.

(შემდეგი იქნება)

„კომუნისტთან" დადებულ ხელშეკრულებას და აცნობის, რომ ეს ხელშეკრულება ბაზრისათვის სახარბიელოა. ასეთი ხელშეკრულებები დამფ. კრების დაუდასტურებლად არ უნდა იკვრებოდეს.

სიტყვისის გამო სხდომა დაიხურა და საკითხის განხილვა შემდეგისათვის გადაიდო.

პროფესიონალურ კავშირებში

სეკრეტარიატის სხდომა.

12 თებერვალს შესდგა პროფ. კავშ. საბჭ-ის სეკრეტარიატის სხდომა. საკითხი, სკოლის გარეთ სწავლის მიღების შესახებ. სხდომამ ღიათ დასტოვა.

მოწვეულ იქნა, თბილისის მუშათა კლუბთან არსებულ დრამატიულ წრის სამხატვრო, სადმინისტრაციო და საადმინისტრაციო და სამეურნეო ნაწილების გამგეთ მ. ქორიძე.

მოსმენილ იქნა კოოპერატივ „ალორძინების"-ს კომისიის მოხსენება მუშების კოოპერატივის წევრად ჩაწერის შესახებ. სეკრეტარიატმა დაადგინა წინადადება მიეცეს კოოპერატივ „ალორძინების"-ს წარმომადგენლის კოოპერატივის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ სრული ანგარიში და წარმომადგენლის წერილობითი განცხადება იმის შესახებ, თუ როგორ ფიქრობენ ისინი გაწმინდონ კოოპერატივი დროებითი ელემენტებისაგან და როგორ ფიქრობენ შეადგინონ კოოპერატივ „ალორძინების" გამგეობა.

სხდომამ მოისმინა რა ხილვადსურ დამბეჭდავის საზოგადოების თავმჯდომარე ათიბეკაშვილის განცხადება მუშათა კლუბის იაფფასიანი სასადილოსათვის ინვენტარის გადაცემის შესახებ,—აირჩია შემფასებელი კომისია, რომელშიაც შედიან სადარაშვილი, ჩხენკელი და სოფრომაძე, რომელმაც უნდა შეაფასონ ხსენებული ინვენტარი და მოახსენონ სეკრეტარიატს.

სეკრეტარიატმა უარყო მელითონეთა განცხადება შრომის ბირჟის დაარსების შესახებ, ვინაიდან მათ არ ჰქონდათ საკმაო საბუთი ამისი მიხედვით.

ს.-დ. პარტიაში

ქიათურა. 10 იანვარს შესდგა ქიათურის კომიტეტის სხდომა. დღის წესრიგი: 1) პარტიული გადასახადის დაწესება; 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება. თავმჯდომარე აცნობს კრებას პარტიის ფინანსიურ მდგომარეობას. გასავალი გვაქვს თვეში 10,000 მანეთამდე, შემოსავალი კი 600—800 მანეთამდე. ეს ნაკლებია თვის ჯამაგირია კომიტეტის დარაჯისთვის.

მ. დობორჯგინიძე (მომხსენებელი) ძველათ რეჟიმის დროს მომუშავე ამხანაგები მიუხედავათ იმისა, რომ რეაქცია იყო ჩვენ ვიხდიდით 2 ნახ. პროცენტს. მაშინ არალეგალურათ ვმუშაობდით, დღეს მეტი ხარჯები გვაქვს, რადგან ლეგალურათ ვმუშაობთ. პროფესიონალური კავშირის წევრები იხდიან თავიანთ კასისათვის 2—3 პროცენტამდე და პარტია ხელმძღვანელია ორგანიზაციების და კავშირების. ამიტომ, აუცილებელია, თუ ეს ნდა ხარჯები სანახევროთ მაინც დაიფაროს, პარტიულ გადასახადიდან მინიმუმი უნდა მივიღოთ ერთი პროცენტი თითოეულ პარტიის წევრის გასამრჯელო ხელფასიდან.

გრ. ფხაკაძე წინააღმდეგია პროცენტულ გადასახადის გადიდებისა. ამით ბევრი პარტიის წევრი ჩამოგვშორდება ამიტომ მივიღოთ ერთნაირი ნორმა მაგ. 20 მ. და არა პროცენტული. ხმის უმრავლესობით მიღებულ იქნა ერთი პროცენტი უმუშევრებისათვის 3 მ. თვეში. ქიათურა-საჩხერის რაიონისათვის კი დარჩეს ძალაში საშაზრო კონფერენციის დადგენილება, ე. ი. 3 მან. ამ კითხვის გასარკვევათ და კონფერენციის (ამბერისი) მოხსენებისათვის დადგენ: 12 იანვარს საღამოს მოწვეულ იქნას პარტიის წევრთა საზოგადო კრება.

მოხსენებას აკეთებს კომისიის თავმჯდომარე ამხ. გ. ანთელიძე ს. სიხარულიძე ს და პლ. კილოსანიას შორის მომხდარ კონფლიქტის შესახებ. მოხსენების შემდეგ კომიტეტმა გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია: მომხდარი კონფლიქტი ს. ს—ძეს და პ. კ—ნიას შორის მოხდარა სრული გაუგებრობით, რასაც კომიტეტი მწუხარებით აღნიშნავს. გამორკვეულათ ჩაითვალოს აგრეთვე, რომ კ—ნიას საუბრის დროს საზოგადოთ პენის ლაპარაკი და ამავისზე მიუთითებია დამამცირებელი არ არის სიხარულიძის წინაშე, ისე, რომ ის ესიამოვნება, რომელიც კ—ნიას შეხვდა ამის გამო, მისგან დაუმსახურებელია.

12 იანვარს შესდგა ქიათურის პარტიის წევრთა საზოგადო კრება. კრებას დაესწრო 100 მდე პარტ. წევრი. დღის წესრიგში: 1) მოხსენება საშაზრო კონფერენციის, 2) კომიტეტის მოხსენება განვლილ მუშაობის შესახებ და პარტიის წევრთა გადასახადი, 3) მოხსენება დამფუძნებელი კრების მუშაობის შესახებ ამხ. ზ. გურულის.

კომიტეტის თავმჯდომარე ხსნის კრებას და ულოცავს საზოგადო კრებას საქართველოს დამოუკიდებლობას, რომელსაც კრება ტაშით ხვდება. დღეწესრიგს კითხულობს ამხ. გ. ანთელიძე.

1) მოხსენებას აკეთებს ამხ. გრ. ფხაკაძე კონფერენციის კითხვების და დადგენილებების შესახებ. კრება ღებულობს კონფერენციის დადგენილებებს, სისრულეს გამოთქვამს ცეკას დადგენილების გამო.

2) მოხსენებას აკეთებს თავმჯდომარე, თუ რა გააკეთა ოთხი თვის განმავლობაში—როგორიც არის წვრილი ერთეულების არჩევნების ჩატარება, ბანდების გამოსვლების წინააღმდეგ ზომების მიღება და სახალხო გვარდიის შექმნა. შემდეგ კრება გადადის პარტიულ გადასახადის კითხვაზედ. აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ კრება ხმის უმრავლესობით ღებულობს პროცენტის გადასახადს თითოეულ 3. წევრისათვის. ბოლოს მოხსენებას აკეთებს ამხ. ზ. გურული დამფ. კრების ს.-დ. ფრაქციის და მთავრობის მუშაობის შესახებ, რითაც კრება კმაყოფილი დარჩა.

კრების დასრულების შემდეგ იყო დღის კრებას საყურადღებოთ, რომ დღემდის არ ყოფილა სისტემატიური მუშაობა პარტიაში და ცეკას დადგენილებით, რომელიც საშაზრო კონფერენციამ მიიღო და დაადასტურა, ხაზინდარო წესების გამოცხადებულია პარტიაში, ეს იმას ნიშნავს, რომ პარტიის წევრობა ისე ადვილი არ არის, როგორც დღემდე იყო, არამედ—თითოეულმა წევრმა პარტიისათვის უნდა დაამტკიცოს პარტიის წევრობა მოქმედებით და რაიმე გააკეთოს. გარდა ამისა, ხდება რეგისტრაცია პარტიის წევრთა. ყველა წევრებმა უნდა დაიხსომონ ხელახლა და ყველა პარტიის წევრი ვალდებულია 5 თებერვლამდის შემოიტანოს პარტიის საწევრო გადასახადი, წინააღმდეგ შემთხვევაში ის აღარ ჩაითვლება პარტიის წევრათ.

მდივანი მ. დობორჯგინიძე.

მუშათა შორის

ხელზე-მოსამსახურეთა-კავშირში.

ხელზე-მოსამსახურეთა კავშირის გამგეობამ 6 თებერვალს ამოირჩია პრეზიდიუმი; თავმჯდომარე: გარდაშ ბიბილეიშვილი, მის ამხანაგათ ლუკა პიტარიძე, მოადგილედ ვასილ ფარჯიანიძე და მდივნად მ. ლილუა. ამავე სხდომაზე განაწილდა რაიონები, გამგეობის წევრებს შორის. პირველ რაიონში წარმომადგენლად დაინიშნა ბ. აკრიანიძე. მეორე რაიონში—ბ. შენგელია, მესამეში—გაბიჩვაძე და ჯაგა. მეოთხეში—შმელიშვილი ბაბო. მეხუთე და მეექვსე—ალ. ბოლქვაძე და ნ. ლაპიანი.

მოხდა არჩევნები საკონფლიქტო კომისიის, კულტურულ-განმანათლებელ კომისიის და ს.ხ. გამგეობამ დაადგინა, რომ ჩვეულებრივი კრებები დაინიშნოს საშაბათობით დილის 10 საათზე. გამგეობამ წევრების მოქმედების შესახებ დაადგინა შემდეგი: 1) გამგეობის წევრები ვალდებული არიან სხდომაზე გამოცხადდნენ თავის დროზე. თუ გამგეობის წევრი დააკლდა და 2) ს პატიო მიზეზი არა აქვს ორჯერ მას მიეცემა გაფრთხილება, მესამეჯერ გამოცხადებული იქნება გაზეთში, მეოთხეჯერ კი გადაყენებული. რაიონის წარმომადგენლები ვალდებული არიან ყოველდღე დაიარონ, გამგეობის და პრეზიდიუმის პირნათლად შეასრულონ. მათ ყოველთვის გამგეობის სხდომაზე უნდა გააკეთონ მოხსენება, ყოველივე რაც მოხდა მათ რაიონში. მათ ყოველ თვეში უნდა ჩამოიარონ რაიონი და გააფრთხილონ დღევანდელ სახლის წევრები, რომ საწევრო გადასახადები წესიერათ შემოიტანონ.

კონფლიქტების დროს რაიონის წარმომადგენელს აქვს უფლება თუ საჭიროდ დაინახავს, საბოლოოდ საქმის გამორკვევამდე კავშირის წევრი აღადგინოს.

ყველა გამგეობის წევრები ვალდებულნი არიან თავისი დავალება პირნათლად შეასრულონ და სხვა გამგეობის წევრების ფუნქციებში არ ჩაერიონ სახელით წევრებთან რჩებიან; გ. ბიბილეიშვილი გადაირიცხა ბეჟან, შეცვლილი ბ. ლომტატიძით გადაეცა ბ. შენგელიას.

X.

ბათუმი. მინდა შევეხო მხოლოდ რკ. გზ. მუშა მოსამსახურეების მდგომარეობას ამ ოლქში და კიდევ მოვაგონო ვისაც ეს ეხება, რომ ასეთ პირობებში მათი დატოვება შეუძლებელია და რაიმე ღონისძიებაც არ იქნება დაკმაყოფილებული ეკონომიური მინიმალური მოთხოვნილება, იმდენათ ის მაქსიმალურ სახეს მიიღებს და ისეთაც შეექმნით უმრავლესობას ჩვენ მოწინააღმდეგეთა, რაც ჩვენი მისწრაფებიდან დიდათ მოვნებულია. მოტეხნენბათ, ბათუმის საარაკო სიძვირე და დონის ბონების გაფუჭრება, რის გამო თვით დენიკინის მოტრფიალენი მოითხოვენ ყველა დაწესებულებებში ჯამაგირები უსათუოთ ქართული ბონებით მიეცეთ, რადგან ჩვენი ბონი 350 პროც. მეტი ღირს დონისაზე. და როცა კერძო თუ სახელმწიფო დაწესებულებებში მუშები ღებულობენ 5000—8000 მან., მაშინ ჩვენი რკინისგზელების თვიური ჯამაგირი 1200 მან. 3000 მან. აღწევს. იბადება კითხვა: ვაჭრები ჩვენებს ხომ უფრო იაფათ არ მიყიდიან სურსათს? ან რა ნაირი შედარებაა ჯამაგირების. შეიძლება თქვენ მითხრათ, პური და სურსათი იაფათ გვეძლევა კოოპერატივებიდანო. კარგი და პატიოსანი, მარა ერთი გირვანქა პური დღეში ან ერთი გირვანქა შაქარი თვეში გეყოფათ?

სხვა რა!—თუ რამე სოფლიდან ან საქართველოში იაფათ ნაყიდი ვინმეთ წაიღოთ, ეს არ შეიძლება: „ნატანები" უნდა გახსოვდეთ. კიდევ რადა დღეობები არის ის, რომ ცივ ვაგონებში «ცხოვრობა ცოლ-შვილით ზამთარში,—როცა შეშა არც ნახშირი.

უკვე წელიწადი გადის რაც 700—800 მუშა მოსამსახურე ასეთ გაჭირვებას გრძნობენ და ეგზეკუციები მისდგამ, რაც ჩვენს ხელს ჯერაც არ არის, მაგრამ ეკონომიურით ცოტათი უზრუნველყოფა კი შეიძლებოდა და არაც თუ ძნელი გამოსანახავი რეზერვებიდან თუ რაც განსხვავებაა ცხოვრებაში საქართველოს და ბათუმს შორის და ამისდა მიხედვით ჯამაგირების ან დროებითი დახმარების მიმატება, ეს არ ხდება და მუშები გაქცევის გზას ადგებიან, თითქმის ყველანი იმას ფიქრობენ და თხოულობენ, რომ სხვა ხაზებში გადავიდნენ, რადგან ცხოვრება შეუძლებელი შექმნა. ზურგს ამას ადმინისტრაცია და მთავარი კავშირი და სდუმს, და დეკემბერში ფინანსური დეპარტამენტის გადაფის პროექტი ჯერაც ძევს კაბინეტებში, პირობები აწყნებია და ამიტომაც მთავრებული დაპირებები ამ გაჭირვებულ ხალხში ეჭვებს გახვდა. პროექტი, რომელიც თბილისში უნდა დამტკიცდეს, სამი თვე გადის და კიდევ მტკიცდებაშია.

ერთი სიტყვით, მოთმინების ფიალა აივსო და ამიტომ მთავარი რკ. გზ. მუშა მოსამსახურეების კავშირმა, გზების და შრომის სამინისტრომ ამას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ, რომ არ დაირღვეს მოწესრიგებული მდგომარეობა ამ ხაზისა და მით ხელი არ შეაიდონ მოწინააღმდეგეებს.

„მეტი ყურადღება ბათუმს!

დემელი.

პროვინცია

ბორჯომის ხარაგაული ერობის ხმოსანთა მეორე ყრილობას 8 თებერვალს დაესწრნენ: ხმოსნები 24, თავმჯდომარე ს. ლომიძე, მდივანი ე. ლომიძე. მოისმინეს: მოხსენება საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ, ერობის გამგეობის თავმჯდომარის კ. მახნაზაროვისა, რომელმაც ყრილობის ყურადღება საქართველოს დამოუკიდებლობის შეწირვაზე და მთავრობის მოქმედების ევროპასთან სახელმწიფოებთან, საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ უმაღლესი საბჭოს მიერ, რასაც სიმღერით სიხარულით ეგებება და იწონებს მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და პოლიტიკას.

მოისმინეს: მოხსენებები ერობის გამგეობის მოქმედების შესახებ გამგეობის თავმჯდომარის კ. მახნაზაროვისა. ანგარიშებში ვაინფ მოხსენები გ. ლომიძემ. სარევიზიო კომისიიდან მოხსენებას აკეთებს ვალიდიშვილი მიქამბერიძე, იარკვევს, რომ კომისია კმაყოფილია გამგეობის მოქმედებისა და ანგარიშებისა. დაადგინეს: ვიწონებთ რა გამგეობის თავმჯდომარის მოხსენებიდან, რომ გამგეობის მოქმედებას აფასებს უსახსრობით, რადგანაც გამგეობისათვის თანხა არც მთავრობის მიეცა და არც ხალხს, ამისთვის ეთხოვოს მიწათ-მოქმედების სამინისტროს ნება დართოს ბ-ნებიერ ერობის გამგეობას, გადასახადის სახით მოხსნას ბორჯომის მამულის საზღვარ ქარხნებ-დან სხვადასხვა ადგილებში პირნახულივ გადასახადად და, ყრილობამ მოიწონოს გამგეობის მოქმედება და მადლობა გამოუცხადოს გამგეობას და მის რწმუნებულს ე. ტალახაძეს. მოისმინეს: ბორჯომის რაიონის სოფლის მცხოვრებთა დამოკიდებულება ბორჯომის ეროვნულ მამულის ტყის სამმართველოსთან. დაადგინეს: 1) ვინაიდან ტყეში მონიშვნა (რაზრიადი) ბარისხები არის დაცულია არა წესიერათ, ამისათვის ეთხოვოს მიწათ-მოქმედების სამინისტროს დაინიშნოს იქნეს კომისია გზების დასათვალიერებლად, რომ ამით დაცული იყოს სამართლიანობა სოფლის მუშების ტყიდან ხის გამოტანა, 2) ყრილობამ მოიწონა დეკრეტი დაშლის შენება კრებას, საწყალი შეშით და სახანაო მასალით სარგებლობის შესახებ, 3) ტყე დანაწილებულ იქნეს ერობის გამგეობის ხელმძღვანელობით ბორჯომის რაიონის მცხოვრებთა შორის თანაბრად, 4) რადგანაც ბორჯომის რაიონში საკმაო ჰირნახული არ მოდის და ხალხი სცხოვრობს თავის მოსავლით, რომელიც დიდ საჭიროებას შეადგენს საქონლის შესანახათ, ამისათვის ეთხოვოს მიწათ მოქმედ. სამინისტროს, რომ მეექვსედი ნაწილი გადასახადი თივაზე იყვეს მიღებული იმ ადგილზე, სადაც თივა ითიბება და არ იყვეს ხალხი ვალდებული თავისი ხარჯით ჩაზიდოს თივა მამულის სამმართველოს დანიშნულ ადგილს, 5) გადავიდეს ერობის გამგეობის ხელში საყავრე ხის განაწილება და განაწილდეს შემდეგ იმ პირებზე, რომლებიც ესაჭიროებათ ყავარი თავიანთი სახლებისათვის, ზედმეტი რაც მორჩება, გაიტანონ სხვადასხვა რაიონში პირნახულზე გასაცვლელად ბორჯომის რაიონის მცხოვრებთათვის. 6) დაევალოს ერობის გამგეობას, რომ ბორჯომის ეროვნულ მამულის სამმართველოსთან ერთად იზრუნოს გზების შეკეთებისათვის.

მოისმინეს. 1919 წ. 30 ოქტომბრის განაჩენი ბორჯომის რაიონის მცხოვრებთა თვითეულ კომლზე ფულზე მათ მიერ მიტანილ ხეებიდან 5 პროცენტის დაჭერისა იმ პირთა სასარგებლოთ, რომელნიც ამორჩეული არიან სხვადასხვა საჭირო საქმის გასაკეთებლათ სახელდობრ: ჩადუნელი, ტალახაძე და ზაზიძე.

დაადგინეს: ვინაიდან ერობის გამგეობას არა აქვს თანხა და უძნელდება მას სხვადასხვა საჭირო საქმის გაკეთება და დახმარება ღარიბებისა, ამისათვის გაუქმებულ იქმნეს ხსენებული განაჩენი და მამულის სამმართველოში დაჭერილი 5 პროც. ბიზის ფულები გადმოეცეს ერობის გამგეობის ხელში. მოისმინეს: ბორჯომის ტყის მომრიგებელ მოსამართლის უფლების შესახებ.

დაადგინეს: რადგანაც ბორჯომის რაიონში საქონლის ქურდობა და საქონლის დამკარგავს უზდება საოლქო სასამართლოში სამრულ, ვინაიდან ბორჯომის ტყის მომრიგებელ მოსამართლეს არ აქვს უფლება 4000 მან. ზევით საქმის გარჩევის, რის გამო ეთხოვოს ხდება ბორჯომის ტყის მომრიგებელ სამმართველოს ტერიტორია, გაბრუნდებოდეს ეძლევა საქმეს და ქურდობა ვრცელდება, ამისათვის აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ გადიდებულ იქნეს უფლებები ბორჯომის ტყის მომრიგებელ მოსამართლისა 50,000 მანეთამდის. მოისმინეს: განცხადება რაიონის მილიციის უფროსისა გ. დევიძის ხმოსნების საყურადღებოთ, გამოეცხადოს ხალხს, რომ ერთი კვირის განმავლობაში წარმოადგინონ ყველამ ყოველნაირი სასროლი იარაღი.

დაადგინეს: განცხადება იქნეს მიღებული და ამასთანავე ეთხოვოს გამგეობას შუამდგომლობა მთავრობასთან სანდო პირებზე იარაღის ნებართვის მიცემის შესახებ. მოისმინეს: ერობის გამგეობის კანცელარიაში კვირას დღით მუშაობის გაუქმების შესახებ. მოისმინეს: განცხადება, სარევიზიო კომისიის წევრის სტეფა ლომიძისა, რომ იგი განთავისუფლებულ იქნეს სარევიზიო კომისიის წევრობიდან, რადგანაც იგი თავისუფალ დროს ვერ შოულობს. დაადგინე: განთავისუფლებულ იქნეს და მის ადგილას დაინიშნოს იოკიმე ველიშვილი. მოისმინეს: განცხადება სოფელ ქვაბისხევის მცხოვრებთა, რომ ისინი თხოულობენ ეგრეთ წოდებულ მანდილაშვილის ოლღიზე საქონლის სამყურის ნებართვას და მამულის მმართველი ნებას არ იძლევა. დაადგინეს: დაინიშნოს კომისია, რომელიც გამოარკვევს თუ რამდენათ საზარალო ეწინება ტყისთვის აღნიშნულ ადგილზედ ცხვრის ძოვება.

ქ. დიჩკაძე.

წერ. რედაქციის მიმართ

„ერთობის" № 249-ში მოთავსებულია წერილი სოფელ ქვემოჭალიდან, საღაც ავტორი ახვარებს გაზეთის ფურცლებზე ქვემო ჭალის რაიონის სააგრარო კომისიის უმოქმედობას. ამ წერილს ყურადღება მიაქცია როგორც ცენტრალურმა საგრარო განყოფილებამ, ისე კიდევ გორის მაზრის ერობის გამგეობამ. დაინიშნა საგანგებო გამოძიება სამი გამგეობის წევრნი: ახალაძე, მელიქიძე და ჯავახიშვილი გაემგზავრნენ ამ კომისიის სარევიზიოთ. ცალკე კიდევ სარევიზიოთ იყვნენ ცენტრალური აგრარული რეფორმათა განყოფილებიდან წარმომადგენელი საკოლმეუსიანი და გორის მაზრის ერობის აგრარულ განყოფილების გამგე გამგეობის წევრი შ. ჯავახიშვილი. ყოველის მხრივ გამოძიების შემდეგ აღმოჩნდა: ქვემო ჭალის რაიონის აგრარული კომისიის შემადგენლობა სდგას თავის სიმაღლეზე, ყველა კომისიებზედ ადრე გაუთავებია სამუშაო და ამ ჟამად რაიონი მზათაა დასანაწილებლად. რევიზიამ აგრეთვე აღმოაჩინა, რომ ამ კომისიას მუშაობის დროს ყველა კომისიებზედ მეტათ დამაბრკოლებელი მიზეზები დახვედრა და მიუხედავად ამისა ყველანაირ დაბრკოლებას შეებრძოლებიან და ნაყოფიერათაც ჩაუტარებიათ ეს ზონი.

გამგეობის წევრი შ. ჯავახიშვილი.

მოქალაქე რედაქტორო, მინდა ჩემი სიმპატია და ღრმესი მადლობა გამოვუცხადო ხაშურის საზოგადოებას, რომელიც თავისი თანაგრძნობით აქტიურად დამეხმარა საღამოს გამართვაში. განსაკუთრებით მადლობას ვწირავ: ხაშურის რაიონის რკ. გზ. მუშა-მოსამსახურეთა პროფ. კავშირის გამგეობას, კლუბის დარბაზის უსასყიდლოთ დათმობისათვის, გვარდიის სამხედრო მუსიკით ხელის შეწყობისათვის ლეიტენანტ ნ. მოგოსლადვეცს, ისიდორე თელიას, მასწავლებლებს: ელ. ციმაკურიძეს, ნ. მიქაძეს, ი. ჩახნიაშვილს, ნ. ციხელაშვილს და სხვებს.

მოხეტიალე მუსიკოსი ილიკო ქურხული.

ცნობები

ნიკო ხიმშიანის ძე ახალაძე იმყოფებოდა ახალციხეში 261 გიორგიევის პოლკში პირველ როტაში 1918 წელში. მას შემდეგ არაფერი ვიცით. თუ ვინმემ რაიმე იცის მის შესახებ უმორჩილესათ ვსთხოვ მაცნობოს პრესის საშუალებით ან კერძო წერილით შემდეგი მისამართით: ხონი-ტურის, ნანგიშეველისელი სიმონ ახალაძეს. ვსთხოვ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ.

ჯარის-კაცი იონა ნესტორის ძე ლოტიჩაა 1918 წ. გაიწვიეს იქნა სოჯის ფრონტზე. მსახურობდა მეორე ქართულ რაზმის მეორე გუნდის მეორე ასეულში. 1919 წ. იანვარს დენიკინის წინააღმდეგ მეტევის დროს უგზო-უკვლოთ დაიკარგა და მშობლებმა არ იციან მისი არაფერი. ხმები დადის, რომ ის ცოცხალია, დენიკინის ტყვეობაშია და ვერ ახერხებს გამოსვლას. თუ მის შესახებ რამე იცის ვინმემ, დამორჩილებით ვსთხოვთ აცნობოს გვარდიის შტაბის საშუალებით აცნობოთ მის მშობლებს. ვსთხოვთ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ ეს ცნობა. ვლადიმერ ლოტიშია.

ფოსტა

ქუთაისი დომენტი ვერულაშვილს სამწუხაროთ განცხადება არ დაიბეჭდა, რადგან ძლიერ დაგვიანებით მივიღეთ. გვაცნობეთ რა ვუყოთ ფულს.

განცხადებანი

დ ა ვ კ ა რ გ ე

მეტრიკა და ს. ნიკორ-წმინდაში (რაჭის მაზრა) მოცემული მოწმობა № 297, რაც ჩაითვლება გაუქმებულად. ვარლამ ხოლმომხას ძე მეურუსაძე: (კუპ. 142)

ცეკვის სასწავლებელი
ი. ა. როზენბერგისა.

არსებობს 27 წელიწადი ასწავლის სპეციალურად: აზიურს, ხაბადეტო და ევროპიულ ცეკვებს მეცადინეობა ყოველ დღე დილის 8 საათიდან საღამოს 9 საათამდე. ჩქარი და კარგად შესწავლისათვის იძლევა სრულ პირობას. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა № 101. (527-5-1)

ე ქ ი მ ი
კ. ზ. ვართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიული სნეულება (სიფილისი "606" და 914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ 5—7 საათ. სერგის ქ № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (თ. 546)

ექიმი ა. ლიპინსკაია

შინაგანი და ქალთა სნეულებანი. ექიმობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშუალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ ნაწლავების: ჰაჯების და ნერვიულ სისტემის. რენტგენისა და ელექტრო-სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—7 საათ. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3. (471)

ლოტერეინის მედიცინისა ქალის ბერლინის და ვენის კლინიკების
ვ. ზ. მეფრაშიანი

შინაგანი ავადმყოფობა, ბლეკისა და ნერვების. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ბლეკების ანგარიშით. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. მეტეხის ქ. № 23, ტელეფ. 7—92.
3290—თ.

ექიმი ა. დ. [illegible]

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაილოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. ტელ. 14—28. (154—თ.)

ექიმი ლ. მ. [illegible]

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩუბინაშვილის ქუჩა № 37, [illegible] ახლო.

ე ქ ი მ ი
ნ დ. ცერიაშვილი

იღებს შინაგან, სანერვო და ქალთა ავადმყოფებს მუდამ დღე შუადღ. 1—3 ს. და საღ. 4—5 ს. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. ტელ. 14—13. (119—თ.)

ექიმი გ. მ. მანსარიშვილი

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 9—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მისამართი: კუთხე მიხაილოვის (მიხაილოვის) პროსპექტი და კირიკინის ქუჩ. № 22 (შესავალი კირიკინის ქუჩიდან) ტელეფონი 10—37. (114—თ.)

ე ქ ი მ ი
ზ. ი. მირიანაშვილი

შინაგანი სნეულებანი, მიღება საღ. 5—7 საათამდე, გარდა კვირისა. ანდრონიკოვის ქუჩა, № 74. ბინა № 1. ვაგზლის ახლოს. (349)

ექიმი დ. ზ. [illegible]

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებებით ავადმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (სავაჭრო სახლის ახლოს) ტელეფ. 14—80. (თ.—2662.)

პირველი ქართ. სამკურნალო
ექიმ ნავასარდიანისა
(გოლოვინის ძეგლის პირდაპირ)
დაარს. 1880 წ.
ყოველ დღე კვირის გარდა.
„606" და „914" 11—12 საათ.

ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. სიფილ. და ვენ. ავად. (სიფილისი).

გ. მ. ამახარიძე —10—12 ს. შინაგ. ნერვ. და საბავშვო ავად. ბერია.

შ. შ. აფდულაძე 11—12 ს. ვენ. ავად. (სიფილ.) ხირურგ.

კარპენკ-ბერიაშვილი—12—1 საათ. (ყურ. ცხვ. და ხახისკ). ქალთა ავად. და ბებიაობის ნაწილი.

ე. ა. მორჩილაძე—12—1 საათ. (სამშ. ხელოვნ. და შიბათი).

ტერ ვართანოვი—12—1 ს. შინაგ. და ბავშვთა.

ღარიბებს დარიგდება უფასოდ.
საავადმყოფოს დირექტორი
(180—თ.) ექიმი ნავასარდიანი.

ო ზ უ რ გ ე თ შ ი
ექიმი ა ბ ა შ ი ძ ე

ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სნებით: ფილტვების, გულის, კუჭის და ნაწლავების, ქლექის ამკურნალობა „ტუბერკულინით" და „ტუბერკულინით", ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914" და „606" შეშხაპუნებით. ქ. ხიმშიაშვილის სახლში. (კუპ. 60)

კერძო სამკურნალო
ექ. დონხინისა
(მუდმივი საწოლებით) მიხ. ქ. № 141
ტელეფ. 5—37
(სამხედრო სასწავლებლის წინ კინოთეატრ „ამოლონის" გვერდით). ყოველგვარი სნეულებანი ავადმყოფების მიღება სრული პანსიონი. ცალკე ოთახები. (თ. 218)

ექიმი ქალი ე. ს. ბებურიშვილი. ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიაობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: ოზმაილოვის ქუჩა № 22 (თ. 3035).

ექიმი დ. ი. [illegible]

შინაგანის, გულის, ფილტვის და ლებერის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს 12—1 სათ. ს. მისამართი: მადათოვის ქუჩა, № 7, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (ტელეფონი 16—65.) (თ. 3462)

თვალის ექიმი
ზ. მ. ხელიძე

იღებს ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდე. იმნაილოვის ქუჩა № 11. მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (თ. 3322)

ექიმი შ. ა. [illegible]

სპეციალურად სიფილისი და კანის სნეულება (შეშხაპუნება „606" და „914" ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღება ყოველ დღე დილის 9—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] მისამართი: [illegible] ქუჩა № 22.

[illegible] № 1,